ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲧᲔᲚᲘᲤᲐᲓᲘ

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ Კ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲒᲚᲔᲮᲗᲐ, ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲬᲚᲔᲣᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠ.ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ № 24, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ
რედაქციაში საქმის ზვრის მოლაპარაკება შეიძლება ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—56

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ 24 ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 19—49.
ᲮᲔᲚᲓᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲝᲡᲐᲪᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმოწერი მიიღება „ᲠᲐᲓᲝᲡᲚᲘᲡ“ და „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝᲑᲐ“ და ტელეფონზე. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ნომერი—20 კ., ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ: ნომერი—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. ᲤᲚᲘᲠᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘᲗ—25 კ. ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ 50 კ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ 3 ᲛᲐᲜ. ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 19—50.
ᲔᲥᲡ�პᲔᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤ. 5—43.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.
— ᲙᲝᲠᲓᲘᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲚᲚᲔᲓᲘᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲝᲪᲬᲠᲔᲑᲘ.
— ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲖᲘᲪᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲗ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲙᲚᲘᲠᲔᲑᲡ.
— ᲠᲐᲓᲘᲩᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲢᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ.
— ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1925 წ. — ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ — ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐ�პ. № 167 (1322)

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲠᲐᲪ ᲠᲚᲔᲕᲘᲐ-ᲓᲐᲛᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲤᲐᲠᲗᲘᲓ ᲛᲝᲔᲓᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ. ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲓᲐᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲗᲔᲗᲠᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲛᲬᲧᲓᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲙᲐᲤᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲬᲚᲔᲑᲘᲗ, ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲘᲡᲘᲐ ᲜᲘᲗᲘᲠᲓᲐᲑᲘᲠᲐ, ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲬᲚᲔᲑᲘᲗ, ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲘᲡᲘᲐ ᲜᲘᲗᲘᲠᲓᲐᲑᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲪ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲜᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲣᲒᲐᲠᲗ-ᲣᲙᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲮᲘᲠᲘᲐᲚᲝᲑᲐ, ᲙᲐᲠᲓᲘᲐᲙᲐᲠᲘ ᲛᲐᲗᲮᲝᲠᲗᲠᲝᲑᲐᲛ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲞᲘᲠᲓᲐᲠᲘ, ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲘᲡᲘᲐ ᲜᲘᲗᲘᲠᲓᲐᲑᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲐᲮᲚᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲜᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲠᲘᲗᲘ ᲠᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲪ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ.

ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲛᲘᲗᲐᲜᲐᲡ ᲨᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲖᲘᲡᲨᲘ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲘᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲐᲓᲘᲝᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲝᲪᲬᲠᲔᲑᲘ.

— ᲠᲐᲓᲘᲩᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ. ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲣᲚᲒᲐ

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ

ᲒᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ-ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲡᲐᲜᲘᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲓᲘ ᲛᲣᲨᲐ-ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲒᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲐᲛᲑ. ᲩᲘᲩᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲪᲘᲗᲐ ᲨᲘᲓᲘᲗᲐᲠᲘᲐᲡ

მოსკოვი. 22 ივლისი. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიდეხარამ დეპეშა გაუგზავნა ამბ. ჩიჩერინს, რომლითაც მადლობას უხდიდა იაპონიის ელჩის ტანაკას გულწრფელ მიღების გამო. ამბ. ჩიჩერინმა საპასუხო დეპეშა გაუგზავნა, სადაც აღნიშნავს, რომ **რომ ტანაკას ასეთი პატივისცემით მიღება ნიშნავს საბჭოთა კავშირის ხალხთა გულწრფელ განწყობილებას იაპონიის მეგობრულ ერისადმი.**

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲨᲔᲜᲘᲜᲒ ᲒᲐᲛᲔᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ

ვარშავა. 21 ივლისი. სეიმის კლუბ—„ვიზეოლენიე“-ს განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მისი წევრები არ მიიღებენ მონაწილეობას მემარცხენე დეპუტატების მგზავრობაში საბჭოთა კავშირში, კლუბის ზოგიერთ წევრებმა სასტიკი პროტესტი განუცხადეს კლუბის თავმჯდომარე სმეტანოვსკის, და აღნიშნეს, რომ **მიუხედავად ამ განცხადებისა, ისინი მაინც გაემგზავრებიან საბჭოთა კავშირში.**

ᲒᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პარიზი, 21 ივლისი. ბელგიის მუშათა დელეგატებმა, საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ, გაზეთ „დრაპო რუჟი“-ს წარმომადგენლთან საუბარის დროს განაცხადეს, **რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ მათზე უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა. საბჭოთა კავშირის მუშათა ყოფა-ცხოვრების სულიერი და მატერიალური მხარეები** სწორაფად უმჯობესდება. დელეგატებმა აღნიშნეს, **რომ მათ ინახულეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ცენტრები და ყველგან დაუბრკოლებლივ ეკითხებოდენ მუშებს, რომლებსაც ისინი ხვდებოდნენ სამუშაოზე და დასასვენებელ სახლებში.** დასასვენებელ სახლების მდგომარეობას, დელეგატები განსაკუთრებული ქებით აღნიშნავენ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ

მოსკოვი, 22 ივლისი. გერმანიის დელეგაციის უპარტიო ჯგუფის თავმჯდომარე ᲨᲢᲐᲣᲓᲘᲜᲒᲔᲠᲘ მრავალ ფაბრიკა-ქარხნების დათვალიერების შემდეგ როსტას თანამშრომელს განუცხადა:

„გერმანელი მუშა ძნელათ წარმოიდგენს ამას, რაც ჩვენ აქ ვნახეთ. **საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი მართლა ბატონი ყოფილა დედამიწის ერთი მეექვსედისა.** თქვენ დაგიწყიათ დიდი საქმე. თქვენი მოვალეობაა—განაგრძოთ **იგი. ჩვენი მოვალეობაა—ყოველნაირათ დაგეხმაროთ.“**

მუშა მელემ (სოც.-დემოკ.) შემდეგი განაცხადა:

„ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე საბავშვო სახლმა მოახდინა პუშკინოში. **გერმანელ მუშათა ბავშვებს ჯერ წარმოდგენაც კი არა აქვთ მსგავს სახლზე.** ჩვენ აქ ვიხილეთ ის სიმართლე და სინამდვილე, რომელსაც ევრმანიაში არავინ არ გაგვაგებინებდა. **საბჭოთა ხელისუფლებას პირდაპირ სასწაულები მოუხდენია მეურნეობისა და წარმოების აღორძინებაში. გერმანელ მუშას ბევრი რამ ესწავლება ესლა თქვენგან.“**

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲨᲔᲜᲘᲜᲒ ᲒᲐᲛᲔᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ

ვარშავა. 21 ივლისი. სეიმის კლუბ—„ვიზეოლენიე“-ს განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მისი წევრები არ მიიღებენ მონაწილეობას მემარცხენე დეპუტატების მგზავრობაში საბჭოთა კავშირში, კლუბის ზოგიერთ წევრებმა სასტიკი პროტესტი განუცხადეს კლუბის თავმჯდომარე სმეტანოვსკის, და აღნიშნეს, რომ **მიუხედავად ამ განცხადებისა, ისინი მაინც გაემგზავრებიან საბჭოთა კავშირში.**

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲐᲘᲗᲚᲔᲑᲐ

ვენა, 21 ივლისი. ჰენგრეთის ნაციონალურ უმცირესობის ორგანო სემიგრადიეზი—„ᲔᲚᲔᲜᲖᲜᲔᲚ“ იქვეყნებს პარიზულ კორესპონდენტის ცნობას პარიზში რუსეთის თეთრი ემიგრაციის კონფერენციის შესახებ.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, ემიგრაციის ძალთა დათვალიერებამ სრულიად მოულოდნელი და განსაცვიფრებელი შედეგები გამოიღო.

თათბირზე გამოირკვა, **რომ სწორეთ ის ელემენტები, რომლებიც დამდე ავიტაციას ეწეოდენ ხალხთა ხელისუფლებასთან შეუფიგებელ ბრძოლის სასარგებლოთ, არ არიან წინააღმდეგი ხელი აიღონ თავის პოზიციაზე ზოგიერთი გარანტიის მიღების შემდეგ.** კორესპონდენტის სიტყვით, **მემარჯვენე ელემენტების ყველაზე დიდ ჯგუფში, სახელდობრ—სამხედროში, შემჩნეულია სამშობლოში დაბრუნების სურვილი.** ასე, მაგალითად, **მეფის ყოფილი არმიის გენერალმა სმოლენსკიმ განუცხადა „ᲔᲚᲔᲜᲖᲜᲔᲚ“-ის კორესპონდენტს, რომ მეფის არმიის ოფიცრობის უმეტესობა შემადგენლობაა დიდი სურვილი აქვს შეურიგდეს რუსეთში არსებულ რეჟიმს და რომ ეს სურვილი უკანასკნელ ხანებში გავრცელდა, აგრეთვე, შტაბის ოფიცრობაზედაც.**

„ეს გარდატეხა ჩვენს ფსიქოლოგიაში,—განაცხადა გენერალმა.—აიხსნება იმით, **რომ ჩვენ ყველას გვეშინია რუსეთი და ვიბრძოდით აია სამშობლოს, არამედ სახელმწიფო სისტემის წინააღმდეგ, რომელიც, ჩვენის აზრით, ქვეყნისათვის მავნებელი იყო. მაგრამ, როდესაც ჩვენ დავინახეთ, რომ საბჭოთა რეჟიმი იცავს არა მის მეთაურთა ეგოისტურ ინტერესებს, არამედ მთელი რუსეთის ხალხის საერთო ინტერესებს, ბრძოლის გაგრძელებამ დაკარგა ყოველგვარი საფუძველი.** ამიტომაა გასაგები, **რომ სამხედრო ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს ყველაზე ძლიერ ელემენტს ემიგრაციაში, ძველ სიმტკიცით აღარ იცავს თავის ძველ შეხედულებას და, ზოგიერთი ნიშნების მიხედვით, მზადაა შეუთანხმდეს რუსეთის დღევანდელ მთავრობას, ზოგიერთ გარანტიათა მიღების პირობით.** მდგომარეობა ჯერ არაა სრულებით გამორკვეული. სურვილი საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგებისა ჯერ-ჯერობით სულიერ გარდატეხათა პერიოდშია, მაგრამ ის უკვე საკმაოთ რეალურ ფორმას ღებულობს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეჭვი არაა, რომ ძნელია ყოველ მეფის არმიის ოფიცერთა შემადგენლობის დაყოლიება იმ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებაზე, რომლის მიზანი იქნება შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. **უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სრულებით შეუძლებელია“.**

კორესპონდენტისაგან მიღებულ სარწმუნო ცნობებით, ამჟამად დიდი კამათია კონსტიტუციონურ მონარქიის მომხრეებს შორის. ეს ჯგუფიც იზლება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ, გარდა უაღრესათ მემარჯვენეთა უმნიშვნელო ჯგუფისა, მთელ ემიგრაციაში მოხდა გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგების სასარგებლოთ.

ᲗᲔᲗᲠᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ლონდონი, 21 ივლისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრი ტრეველიანი შეეკითხა მთავრობას, გათვალისწინებულია თუ არა მიმდინარე წლის სებიუჯეტო დებულებებში რაიმე ხარჯები რუსეთის ლტოლვილების შესანახავათ.

ფინანსთა მინისტრის ამბანაგმა გინსმე უპასუხა, რომ მომდინარე წლის სებიუჯეტო დებულებებში გათვალისწინებული არ არის არაერთარი ხარჯები რუსეთის ლტოლვილთა შესანახავათ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠ. ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲘᲐ ᲐᲜᲢᲐᲜᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲬᲠᲐᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲜᲝᲢᲐ

ბერლინი, 21 ივლისი. გერმანიის საპასუხო ნოტა საგარანტიო ხელშეკრულების შ. სახებ, იხილავს რა ერთა ლიგის პრობლემას, აღნიშნავს, რომ ვერმანიის მთავრობის აზრით გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში არ არის აუცილებელი წინასწარ პირობა საგარანტიო ხელშეკრულების დასადებათ. მაგრამ გერმანიის მთავრობა პრინციპიალურად წინააღმდეგი არ არის დაწესებული იქნეს კავშირი ამ ორ პრობლემის შორის.

შემდეგ ნოტა აღნიშნავს, რომ საკითხი გერმანიის შესვლის შესახებ ერთა ლიგაში მოითხოვს კიდევ შემდგომ დამუშავებას, რადგან ჯერ კიდევ არსებობს საშიშროება, რომ გერმანია ჩაბმული იქნება მესამე სახელმწიფოების სამხედრო კონფლიქტებში.

გერმანია მხოლოდ მაშინ გახდება ერთა ლიგის სრულუფლებიან წევრად, როდესაც გაახორციელებული იქნება საერთო განიარაღება.

დასასრულ გერმანიის ნოტა აცხადებს, რომ მიუხედავად აღნიშნული ეჭვებისა. შეიძლება ორივე მხარის შეხედულებათა შეთანხმება მთელ რიგ ძირითად საკითხებში. ნოტა იმედს გამოსთქვამს, რომ არსებული უთანხმოება გადალახული იქნება და მოსალოდნელი მოლაპარაკება დადებითი შედეგს გამოიღებს. ნოტა მოითხოვს, რომ დაჩქარებული იქნეს ამ საკითხების განხილვა.

ᲠᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲯᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲬᲧᲕᲘᲗ

ბერლინი, 21 ივლისი. როგორც რურიდან იუწყებიან, საფრანგეთ-ბელგიის ჯარები გავიდენ რურიდან შუიკიში. მცხოვრებლები კი სახლებში იყვენ კარჩაკეტილნი.

ბერლინში ეჭვი არ ეპარებათ, რომ ბელგიასა შუა რიცხვებში დაცილილი იქნება ბერეთი ლუსბურგი, და ბელგიელ ჯარისკაცებმა ეს ადგილი ოკუპაციაში ჩააგდეს.

ᲠᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲯᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲬᲧᲕᲘᲗ

ბერლინი, 21 ივლისი. ოფიციალურ ცნობებით, ამჟამად დიდი კამათია კონსტიტუციონურ მონარქიის მომხრეებს შორის. ეს ჯგუფიც იზლება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ, გარდა უაღრესათ მემარჯვენეთა უმნიშვნელო ჯგუფისა, მთელ ემიგრაციაში მოხდა გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგების სასარგებლოთ.

ᲗᲔᲗᲠᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ლონდონი, 21 ივლისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრი ტრეველიანი შეეკითხა მთავრობას, გათვალისწინებულია თუ არა მიმდინარე წლის სებიუჯეტო დებულებებში რაიმე ხარჯები რუსეთის ლტოლვილების შესანახავათ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠ. ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲘᲐ ᲐᲜᲢᲐᲜᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ „ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ“ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ.

ლონდონი, 21 ივლისი. დეილი ტელეგრაფ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს, რომ გერმანიის პასუხი საფრანგეთის ნოტაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ შედგენილია მშვიდობიან ტონით.

კორესპონდენტის ცნობით გერმანია საჭიროებს სესხის რაც შეიძლება ჩქარა მიღებას ამერიკასა და ინგლისისაგან. ინგლისის ბანკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ბანკის დირექტორების „შემთხვევით“ ყოფნამ ბერლინში მნიშვნელოვნათ შეუწყო ხელი გერმანიის მერყეობისათვის ბოლოს მოღებას. კორესპონდენტის განცხადებით, ესლა საქმე მდგომარეობს იმაში, თუ რამდენათ ხანგრძლივი იქნება ეს გაელენა.

ᲧᲕᲘᲗᲚᲔᲑᲘ ᲚᲐᲥᲔᲑᲘ.

პარიზი, 21 ივლისი. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით ბრიუსელში გაიმართა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის, ბელგიის მუშათა პარტიის წარმომადგენლთა თათბირი, რომელზედაც განიხილეს საგარანტიო ხელშეკრულების დადებასთან. დაკავშირებული საკითხები, რის შესახებაც ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება ინგლის—გერმანია—ბელგია—საფრანგეთს შორის.

თათბირმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ სიძნელენი, რომ

ომი მაროკოში

მოგზაურდება დასაკმაყოფილებლათ.

პარიზი, 21 ივლისი. მუშათა მოქმედების ცენტ. კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საფრანგეთის მეზღვაურებსა და ჯარისკაცებს, რომ ბრძოლის მაგიერ დაამბობილება მოახდინონ ხოლმე რიფებთან.

შეთანხმება ტანჟერის ზონის შესახებ

პარიზი, 21 ივლისი. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით მადრიდიდან **მელმოწერილია საფრანგეთის და ესპანეთის მიერ შეთანხმება ნეიტრალიტეტის დაცვის და ტანჟერის ზონის უშიშროების შესახებ.**

აღმოსავლეთში

ეგვიპტე

ზივარ-ფაშას თანმხრივ ბალდვინთან და ჩემბერლენთან

ლონდონი, 21 ივლისი. ეგვიპტეს პრემიერი ზივარ-ფაშა გუშინ **ეთანხმება ბალდვინსა და ჩემბერლენს.**

განზრახულია ეგვიპტის შეიარაღებულ ძალების მთავარ სარდლათ, **ნაცვლათ მოკლულ ინგლისელ გენერალ ლი-სტეკისა.** დაინიშნოს ეგვიპტელი ოფიცერი.

„დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება, **რომ ხმები ამ პროექტის შესახებ „ბრ არის მოკლებული ერთგვარ საფუძველს“-ო.**

ირაკი

ინგლისის ინტერესები ბოსულში

სტამბოლი, 21 ივლისი. „სონ სა-ჯტ“-ი იტყობინება დაპატიმრებათა **შესახებ, რომლებიც მოახდინეს ინ**-გლისელებმა სულეიმანში და ბოსულ-ში. დაპატიმრებულებს ბრალათ ედებ-ათ პროპაგანდის გაწევა ოსმალეთის სასარგებლოთ და აჯანყების მომზადება ინგლისელების წინააღმდეგ.

ოფიციოზური „ჯუმურიეტ“-ი, **იხილავს რა ბოსულში შექმნილ მდგო**-მარეობას, სწერს: „ინგლისი სცდილობს ბოსული შეუერთოს მესოპოტამიას და ოსმალეთს ჩამოაცალოს ირაკის ნაწილი“.

ინდოეთი.

ბიჟერ-ბოდერა განდისა და ინგლეს შორის.

ლონდონი, 21 ივლისი. რეიტერის სააგენტოს კალკუტიდან ატყობინებენ წერილების გაცვლა-გამოცვლას **შესახებ, რომელიც მოხდა ამას წინ**-ად განდისა (ინგლისელებთან თანამშრომლობის მოწინააღმდეგეთა ბელადი) და მოტილალე ნეჰრუს (ინდოეთის თავის დომინიონის უფლებების მინიჭების მომხრეთა ბელადი) შორის.

ნეჰრუსადმი მიმართულ წერილში განდი აღიარებს, რომ ლორდ ირვინის სიტყვის შემდეგ ნაციონალისტების პარტიის ავტორიტეტი და გავლენა უნდა გაიზარდოს.

საპასუხო წერილში ნეჰრუ აცხადებს, რომ ბირკენხედმა უარყო საპატიო თანამშრომლობის იდეა, რომელიც წამოაყენა სვარაჯისტების (ნაციონალისტების) განსვენებულმა ბელადმა დასსმა. ნეჰრუ აცხადებს, რომ ის და განდი ვალდებულნი არიან ხელმძღვანელობა გაუწიონ ნაციონალისტურ მოძრაობას და მოამზადონ ქვეყანა ბრძოლისათვის ინგლისის უპასუხისმგებლო და თავებედ მოხელეების წინააღმდეგ.

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთაშორისო ყრილობა

ედო ფიმმენის გამოსვლა

პარიზი, 21 ივლისი. ბრიუსელში მართულ ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთაშორისო ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ტრანსპორტელების ინტერნაციონალის თავმჯდომარე **ედო ფიმმენი.** მან განაცხადა, **რომ ტრანსპორტის მუშათა ინტერ**-ნაციონალის მიზანს შეადგენს სოციალისტური ყოფილების დაარსება კაპიტალიზმის დამბობით.

ყრილობამ მოითხოვა ტრანსპორტის ნაციონალიზაცია, ყრილობის შემდეგ გაიმართა მიტინგი, სადაც ფიმმენმა განაცხადა: **„მუშები კაპიტალისტებს ალარ მისცემენ ნებას, რომ კვლავ გვაზვანონ ისინი საელეტავათ. ომის დაწყება უნდა ნიშნავდეს რევოლიუციის დაწყებას. მუშებმა უნდა შეიგნონ, რომ მხოლოდ კაპიტალიზმთან ბრძოლის შემწეობით განთავისუფლდებიან ისინი მონობისაგან“**

საერთაშორისო გუშათა მოძრაობა

ბელგია

გაფიცვა ფართოვდება

პარიზი, 21 ივლისი. ბელგიის მელითონეთა გაფიცვა ფართოვდება. **გაფიცულთა რიცხვი ორშაბათს უდრიდა 75.000 კაცს.** გაფიცვას **შეუერთდენ სტამბის მუშები, რომ**-ელთაც **ეამოაყენეს მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ.** თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული ხვალ გაზეთები აღარ გამოვა.

საბერძნეთი

საბერძნეთის რაციონალიზაციათა მოკვნილება.

ათინა, 21 ივლისი. პირეიში შესდგა მარიეცის და პელოპონესის რკინის გზელთა გაერთიანებული სხდომა. კრებამ დაადგინა მოსთხოვოს მთავრობას უკანონო მოღებული იქნეს სამსახურში ის რკინის-გზელები, რომლებიც დაითხოვეს უკანასკნელი გაფიცვების შემდეგ.

ფითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სახალხო მეურნეობის მდგომარეობა ივნისის თვეში.

მოსკოვი, 22 ივლისი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონიუნქტურო საბჭოს სხდომაზე, პროფესორ პერეფშინის მოხსენებიდან საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ ივნისის თვეში, გამოირკვა, რომ სახალხო მეურნეობა ივნისის თვეში არამც თუ დარჩა განვოლილ თვეების დონეზე, არამედ გაიზარდა კიდეც.

კერძოდ ივნისის თვეში საგრძნობი იყო საქონლისა და ფულის ნაკლებობა და ნაკლებობა კვალიფიციურ მუშა ძალისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის განმარტება.

მოსკოვი. 22 ივლისი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის განმარტებით, დაქორწინებულებს ეფლება აქვთ ატარონ საერთო გვარი (ცოლის ან ქმრის) ანდა ატარონ ის გვარი, რომელსაც ატარებდენ დაქორწინებამდე.

ორნაირი გვარის მიკუთვნება დაუშვებელია. ახლად დაბადებული, რეგისტრაციაში გატარების დროს, როცა ბავშვებს მშობლები არ ატარებენ სხვადასხვა გვარებს, ბავშვი მშობლების პარტიის ავტორიტეტი და გავლენა უნდა გაიზარდოს.

ინსტრუქცია სასაქალაქო და სასოფლო საბჭოების არჩევნების შესახებ

სოფლების საბჭოების არჩევნები

მოსკოვი, 22 ივლისი. ამ დღეებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგია შეუდგება გარჩევას ქალაქების და სოფლების საბჭოების არჩევნების შესახებ ახალი ინსტრუქციისას, რომელიც გამომუშავებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური კომისიის მიერ.

იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც სარგებლობდნენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებით უფლებით, გადიდებულია. მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ ერთმეოვათ: ვაჭრებს, რომლებიც იღებენ პირველი ხარისხის პატენტს, მოქალაქეებს, რომლებიც მისდევენ სოფლის მეურნეობას და სარგებლობენ დაქირავებული შრომით იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ყველა წევრები მუშაობენ, წერილ სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა მეპატრონეებს, შინა-მრეწველებს ხელოსნებს, თუ მათ ჰყავთ არა უმეტეს ორი შეგირდისა ან ერთი მუდმივი მუშა.

ა.-კ. ფედერაციაში საქართველო

უკოლეგიატოთ

თელავი, 21 ივლისი. მთიან თუშეთში გაემგზავრა ფართოეულობით და ფულებით ორი თვითველი სპეკულიანტი გლეხებისგან ბორცის, მატყლის და ყველის შესასყიდად. მთიან თუშეთში არც ერთი კოოპერატივი არ არსებობს.

ფუალსადენი

თელავი, 21 ივლისი. ახმეტის რაიონის, სოფელ მაგანის გლეხობა შეუდგა მუშაობას თავისი ძალებით წყაროს წყლის გასაყვანად სოფელში.

პარტიული ცხოვრება

ბავშვთა საერთაშორისო კვირეულისათვის

ლოზუნგები ბავშვთა კვირეულისათვის

მოსკოვი, 22 ივლისი. ბრძოლისა და აღმშენებლობისათვის საჭიროა ყველა და მგზარი შემოვლელები.

იბრძოლეთ პიონერებისა და ყველა ბავშვების ჯანსაღობისათვის.

კომუნიზმი არ არსებობს სწავლის გარეშე—სთქვა ამბ. ლენინმა.

შეიძინე ცოდნა და გამოცდილება მომავალი ბრძოლისა და მუშაობისათვის.

ქალაქის პიონერები კომკავშირსა და პარტიასთან ერთად უნდა დაუახლოვდენ სოფელს და მიეხმარონ გლეხების ბავშვ-პიონერებს.

გასხოვდეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძმები. დაიპირე მათთან კავშირი და მიეშველე მათ.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ბავშვებო, ყველა ჩადექით პიონერლენინელების მოლონიან არმიაში!

დღესასწაულის ჩატარების წესი

მოსკოვი, 22 ივლისი. ახალგაზრდა პიონერთა ცენტრალურ ბიუროს დადგენილების თანახმად, ბავშვთა საერთაშორისო კვირის აღსანიშნავად, პირველ დღეს 30 აგვისტოს უნდა მოწყობილ იქნას ქალაქების ყველა რაიონების პიონერთა დღესასწაულები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ბავშვები.

მეორე დღეს პიონერთა რაზმები გაემგზავრებიან სოფლებში საბავშვო დღესასწაულების მოსაწყობათ.

შემდეგ დღეს გახსნილი იქნება ბავშვთა სამკითხველოები, მოედნები და სასადილოები.

დღესასწაულის უკანასკნელ დღეს მოწყობა საღამოები ბავშვთა და ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად.

საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კომუნისტური ფრაქციების გაძლიერებისათვის

პარტიის საკავშირო მე-14 კონფერენციამ, რომელიც ვრცლად შეჩერდა სოფლად მუშაობის საკითხებზე, ხაზი გაუსვა კომუნისტური ფრაქციების მნიშვნელობასაც საბჭოთა დაწესებულებებზე და ორგანიზაციებზე პარტხელმძღვანელობის საქმეში.

სხვათაშორის პარტმშენებლობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში ერთ-ერთ ალაგას ამის გამო ნათქვამია: „საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების შიგნით, აღდგენ ლი და განმტკიცებული უნდა იქნეს კომუნისტური ფრაქციები, როგორც ისეთი ორგანოები, რომლებმაც უნდა გაატარონ პარტიული ხელმძღვანელობა ამ ორგანიზაციების შიგთან. მაგრამ ამასთანავე ამ ფრაქციებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შესცვალონ საბჭოების (კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების) სათანადო ორგანოები. ამასთან ერთად, მათ. ყველის მხრივ ხელი უნდა შეუწყონ იმას, რომ ამ ორგანოების მუშაობაში ჩაბმული იქნენ უპარტიო გლეხები, მუშები და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების ერთგული უპარტიო მუშაკები“ ო.

ეს ამონაწერი თითქმის ყველა-ფერს ლაპარაკობს. კერძოდ კი აქედან აშკარა ხდება, რომ საკითხია პარტხელმძღვანელობის განმტკიცება სხვადასხვა ორგანიზაციებზე კომუნისტური ფრაქციების საშუალებით, მაგრამ ეს ხელმძღვანელობა იმ რიგად უნდა წარიმართოს, რომ არ მოხდეს ადმინისტრატიული ჩარევა ოფორიც თვით ადმინისტრატიულ, ისე სამეურნეო ორგანოებში. როგორც ამას დღემდე ხშირად ჰქონდა ადგილი. ეს ერთი. მეორეც ის, რომ კომფრაქციებმა ხელი უნდა შეუწყონ უპარტეო მასების საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას.

ეხლა აქ ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რისთვის დაგვჭირდა ჩვენ მაინც ამ ამონაწერის მოყვანა?

ამისათვის, რომ სოფლად ძალიან ხშირია ისეთი მოვლენები, როდესაც ფრაქციები სრულიად არ არსებობენ, ხოლო თუ არსებობენ, მხოლოდ ქაღალდზე ან და არის ისეთი შემთხვევებიც, როგორც მაგ., ერთ-ერთ სოფლიდან გვიწერენ: „შეკითხვაზე, თუ რისთვის არ წამოაყენებთ, გაგზავნით კოოპერაციაში მუშაკს, წარმომადგენელს, რომელსაც შეუძლია თავისი დანიშნულების სიაღლეზე დაიყენოს მუშობა —ელებულობთ ასეთ პასუხს: „ეს ჩვენი, პარტიის საქმე არ არის—ჩვენი საქმეა პარტმუშაობა“-ო. ეს ფაქტი საფუძვლო მომასწავებელია იმისა, თუ როგორ მოისუსტებს პარტხელმძღვანელობა საბჭოთა ორგანიზაციებზე სოფლად და საუკეთესო სიტუაციი იმისაც, თუ როგორ ცუდათ გაუგიათ სოფლის პარტამხანაგებს მე-14 პარტკონფერენციის დადგენილება ამ საკითხის გარშემო.

პარტიულმ. ორგანიზაციებმა სოფლად უნდა შეიგნონ, რომ პარტიული ხელმძღვანელობა სოფლად მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ვაწარმოთ, გავატაროთ მხოლოდ პარტიული მუშაობა ამ სიტყვაზე ვიწრომაინშვნელობით, არამედ იმაშიაც, რომ ეს ხელმძღვანელობა იყვეს ყოველ-მხრივი და ფართე, რომელიც უნდა აწვდებოდეს სოფლის ყველა ორგანიზაციებს როგორც კოოპერატივს, გლეხკომს, საბჭოს, ისე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც. ჩვენს პარტიულ ამხანაგებს სოფლად კარგად უნდა ახსოვდეთ ისიც, რომ ამ პარტხელმძღვანელობის უზარველესაყოფათ აუცილებელად საჭიროა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კომუნისტური ფრაქციების გაძლიერება.

ანი.

გლეხური ახალგაზრდობის ჩაბმა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში

საკითხი მუშურ-გლეხური მთლიანობის განმტკიცების შესახებ თვით კომკავშირის რიგებში დღეს—ალ ერთი უაღრესად აქტუალური ხასიათის საკითხი.

იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის შორის მთლიანობა და მჭიდრო ურთიერთობა კავშირის რიგებში, — კომკავშირი მიმართავს მთელ რიგ ღონისძიებებს როგორც აღმზრდელობითი, ისე ორგანიზაციული ხასიათისას. ერთი ასეთი ღონისძიებათაგანი კი იმაში მდგომარეობს, რომ კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში ჩავაბათ გლეხური ახალგაზრდობიდან აქტიური და შეგნებული კომკავშირელები. მაგრამ, დღეს-დღეობით რომ ამ მიმართულებით საქმე მოისუსტებს—ეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს. თუ თვალს გადავაელებთ ჩატარებულ სამაზრო კონფერენციებს დავრწმუნდებით, რომ სწორედ ამ ნიადაგზედ ხდებოდა კავშირში უთანხმოებანი გლეხური და მუშური ახალგაზრდობის მოოის.

როგორც ვიცით, კავშირის ზრდა ამ უკანასკნელ ხანებში უმთავრესად გლეხური ახალგაზრდობის ხარჯზე ხდებოდა. თვით ეს გარემოება ატეკიცებს იმას, რომ სოფლის, გლეხური ახალგაზრდობის აქტივობაც გაიზარდა. ცხადია, ასეთ პირობებში დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ კავშირს არაავითარი ანგარიში არ გაეწია ამ გლეხური ახალგაზრდობის აქტივობისათვის. რომ კავშირი გულგრილად შეხვედროდა ამ აქტივობას, რომ კავშირი თავის მხრივ არ გამოხატურებოდა მას,—ეჭვს გაჩენდა, რომ ეს გამოიწვევდა ჩვენი ორგანიზაციის დასუსტებას. მაგრამ კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში შეგნებულ, აქტიურ კომკავშირელ გლეხების ჩაბმით—ჩვენ სრული დაიმედებული უნდა ვიყვეთ, რომ ამით უფრო განვამტკიცებთ და გაეძლიერებთ ორგანიზაციას.

მართალია, როგორც ეს ზემოთ აღენიშნეთ, ამ მხრივ ჯერ კიდევ ცოტაა გაკეთებული, მაგრამ კომკავშირის მე-4-ე კონფერენციის შემდეგ, მას უნდა მივაქციოთ ფრიად სერიოზული ყურადღება, ვინაიდან ჩვენი ორგანიზაცია—ეს მუშურ-გლეხური ორგანიზაციაა და ერთი უმთავრესი პირობა კავშირში ამ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის შორის მტკიცე და ურყევი მთლიანობის დამყარებისა, არის სწორედ გლეხური კომკავშირული აქტივის წამოყენება კავშირის ხელმძღვანელო ორგანოებში.

რასაკვირველია, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ აქ წამოყენების შესახებ, ეს არას შეეხებოდეს ამას, თითქოს მისი გატარება ცხოვრებაში შესაძლებელი იყოს დაკვრითი წესით. წამოყენება უნდა ხდებოდეს სისტემატიურად, მაგრამ როგორც ასეთი, ის უეცველად უნდა არსებობდეს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საკმის სწორად და სასურველად მოგვარებისაკენ უნდა წარმართოს თავისი მუშაობაც.

ცოცხალა.

ჩვენი მრეწველობის აღორძინება

(თვალის გადავლებით)

საბჭოთა აღმშენებლობა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ჩვენი მრეწველობა დღით დღე იზრდება. საკმარისია შევადაროთ მრეწველობის შარშანდელი მდგომარეობა წარეკვანდელს, რომ ამაში დავრწმუნდეთ. ქვემოდ მოყვანილი ცხობები ამას აშკარად ამტკიცებენ აქ რასაკვირველია საკმაოთ არ არის წარმოდგენილი მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობა, ამის შესახებ წლის ბოლოს იქნება შედგენილი ანგარიში, მაგრამ მოყვანილი ცნობებიდანაც აშკარად სჩანს საბჭოთა აღმშენებლობის სწრაფი ზრდა.

მაუდის ფაბრიკა

1924 წ. შემოდგომაზე სახ. მეურნეობის ეროვნულ საბჭომ გახსნა ქ. ქუთაისში მაუდის ფაბრიკა, სადაც ყოველთვიურად მზადდება 3.000 მეტრი მაუდი, უმთავრესად ქართულ ნედლეულობისაგან. დღეს-დღეობით მიღებულია ზომები ფაბრიკის გასაფართოებლად, ისე რომ ყოველწლიურად უნდა დამზადდეს ფაბრიკაში 530.000 მეტრი მაუდი.

ბრეზილ ავიჯეულობის ქარხანა

მარელისის სადგურთან შენდება ბრეზილ ავიჯეულობის დიდი ფაბრიკა. ფაბრიკა ჯდება 250.000 მან. ამჟამად ფაბრიკის შენება შეიძლება ჩითვალოს დასრულებულად. შეკვეთილია ახალი კონსტრუქციის მანქანები საზღვარგარეთ და სხვ.

საკასრე მასალის ქარხანა

სწარმოებს მუშაობა საკასრე მასალის დამამზადებელ ქარხნის მოსაწყობად ბორჯომში, სადაც განზრახულია დამზადდეს 600.000 საეკასპორტო კოკალექტი.

ახალი ქარხნები

ქ. ოზურგეთში შენდება აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა.

შემუშავებულია აგრეთვე პროექტები ახალ წარმოებათა მოსაწყობად უახლოეს 2—3 წლის განმავლობაში, მაგალითად: ა) ქ. ოზურგეთში და ლიუბლიანაში უნდა მოეწყოს კონიაკის ქარხნები, სადაც უნდა დამზადდეს, პირველში 1.200.000 და მეორეში 800.0000 კონიაკის სპირტი; ბ) ქ. თბილისში (ნავთლუღში) უნდა მოეწყოს საუტილიზაციო ქარხანა 300 ფ. ძვლის გადასამუშავებლად ყოველდღიურად; გ) ქ. თბილისში უნდა მოეწყოს საცდელ-საჩვენებელი ქარხანა ხის მშრალად გადასამუშავებლად სხვადასხვა განყოფილებებით; დ) ქ. ბორჯომის საკასრე მასალის დამამზადებელ ქარხანასთან ერთად ბორჯომში, სადაც მშრალად გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც ენერგიის [illegible] 1.500 [illegible] საფეი, ე) ქ. ფოთში, ბალდადში და ზამგოზში (ზუგდიდის მაზრაში) უნდა მოეწყოს ახალი ხე-ტყის ქარხნები, სადაც უნდა დამზადდეს 4 მილიონამდე ტუტი; ვ) ქ. თბილისში უნდა მოეწყოს ცემენტის ქარხანა, 700.000 კასრი ცემენტის დასამზადებლად წლიურად.

ამას გარდა უნდა მოეწყოს აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, ბარიტის გადასამუშავებელი წისქვილი, მინერალურ საღებავის ქარხანა, ფაიფურის მინების წარმოება, ქვა-ლვინის სიმტკიცის ქარხანა და სხვ.

მრეწველობის პროდუქციის ზრდა

საქართველოს ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1924 წლის საოპერაციო პერიოდში უდრიდა 13.702.161 მანეთს, ხოლო 1924—1925 წელში მისმა ღირებულებამ მიაღწია 20.080.471 მან. ე. ი. 6.387.810 მან. მეტი, ვიდრე 1924 წელში.

საქართველოს მრეწველობის მთავარი დარგები ვითარდება და იზრდება ყოველთვიურად, ასე მაგალითად: ა) 1924 წ. ოქტომბერში ამოღებულია 1.951 ათასი ფუთი შავქვა, ხოლო 1925 წ. მაისში კი 2.637 ათასი ფუთი (35,2 პროც. მეტი); ბ) 1924 წ. ოქტომბერში ამოღებულია 352 ათასი ფუთი ქვა-ნახშირი ხოლო 1925 წ. მაისში 412 ათასი ფუთი (17,2 პროც. მეტი); გ) თამბაქოს მრეწველობის პროდუქცია 1924 წ. ოქტომბერში უდრიდა 71 ათასს შრომის-მრეწველობის ერთეულს (შრომის--მრეწველობის ერთეული უდრის 4 გ. თამბაქოს ანდა 1000 ცალ პაპიროსს), ხოლო 1925 წ. მაისში კი 102 ათასს შრომის-მრეწველობის ერთეულს ე. ი. 41,67 პროცენტით მეტი.

მუშა ხელი და ხელფასი

1924 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის საქართველოს ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობაში ირიცხებოდა 4.398 მუშა.

1925 წ. 1-ლ აპრილისათვის შედეგ მომუშავეთა რიცხვი გაიზარდა 4.931-დე. გარდა ამისა სხვადასხვა წარმოებაში ირიცხება დროებით სამუშაოზე 2.000 მუშა.

მუშის საშუალო დღიური ხელფასი სახელმწიფო მრეწველობის ყველა დარგებში, 1925 წ. მაისში ე. ი. 37,14 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1924 წ. ოქტომბერში.

საკგარაკო სეზონი

ახალი აგარაკი

ახლად გაშენებულ სოფლის ზინობანის (თელავის მაზრა) მახლობლად ჩანთლის ყურის შიდამოებში აღმოჩნდა გოგირდის წყაროები, რომელიც უხვად გადმოდის კლდეებიდან. სახელდახელოდ გლეხებმა წყაროსთან მოაწყვეს ვანები.

ეს ადგილი გადაიქცა ნამდვილ გლეხთა სამკურნალო აგარაკათ: ყოველდღიურად გოგირდის წყაროებზე მოდის 30—40 გლეხი. მრავალი გლეხთაგანი აგარაკზე მოდის 40—50 ვერსის დაშორებით. აგარაკებზე არ მოიჰოვება დასაადგომი შენობები. გლეხებში ცხოვრობენ საგანგებოთ გაკეთებულ კარავებში. ჩანთლის ყურის მინერალური წყლები წარმატებით ჰკურნავენ კანის ავადმყოფობას, რომატიზმით შეპყობილებს და სხ.

მენშევიზმის წინააღმდეგ ოგანი

როდესაც ლაპარაკობენ მენშევიზმის კავშირზე იმპერიალიზმთან კაპიტალისტურ მსოფლიოს მასშტაბით, საქმე უნდა ეხებოდეს მხოლოდ ფაქტის აღნიშნვას და განმარტებას და სენსაციას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ამ ფაქტში არაფერი არ არის არაჩვეულებრივი და მოულოდნელი. მენშევიზმს ყოველთვის თავის არსებობის პირველ დღიდანვე აღებული ჰქონდა ვეზი ბურჟუაზიზე, იმპერიალიზმი კი არის თანამედროვე ბურჟუაზიის პოლიტიკა, უკანასკნელი ფორმაციის კაპიტალისტური კლასის თეორია და პრაქტიკა და სხვა არაფერი. იმპერიალისტური სამოქალაქო ომების და რევოლიუციის წლებია გამოააშკარავეს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით მენშევიზმის ნამდვილი ბუნება.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია წარსდგა მუშათა კლასის წინაშე მთელი თავისი მომხიბლაობით, გამოხეთქილი თავიანთ ეროვნულ ბურჟუაზიის კლასიურ დროშაში, ქმის დაღით სახეზე და კაინის კეტით წელში. იგი იყო ჰოგენკლეერნების, გაბსბურგების, კობურგების და მიფლიო ომის ყველა პროვოკატორების და ინსპირატორების ყურ-მოჭრილი მონა. სწორედ ის ცოფიანი ძაღლივით გაიფთრებით თავს ესხმოდა მუშათა კლასს, როგორც კი უკანასკნელი შეეცდებოდა გამომეღვაძებინა თავისი რევოლიუციონური ნებისყოფა. სწორედ მან მოუსპო სიცოცხლე ახალი მსოფლიოს მებაირაღლტრეთ კარლ ლიბკნეხტს, როზა ლიუქსემბურგს და ბევრ სხვას და პროლეტარიატის იდეალებისათვის მრავალ ათას მებრძოლთა გვამებით მოაფინა გამარჯვებული კაპიტალიზმის მსვლელობის საზეიმო ზა. დაუფასებელი სამსახური გაუწიეს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა კაპიტალისტურ კლასებს და მათ მთავრობებს მათი უძლიერეს მერყეობის მომენტში. მეორე ინტერნაციონალი ბურჟუაზიულ საზოგადოების მესაფლავედან, როგორიც ის უნდა ყოფილიყო. როგორც მუშათა კლასის ორგანიზაცია, სანამდვილეში გადაიქცა დინასტიათა ტახტების და კაპიტალისტურ ოლიგარხიის ოქროს ტომრების მფარველ ანგელოზად. მენშევიზმი გადაიქცა ყველაზე ძალერ, ტენდენციურად უაღრესად გაუმჯობესებულ იარაღად ბურჟუაზიის ხელში, ბედის უკუღმა ტრიალის, რევოლიუციონურ ავეთქმების და კატასტროფების შეაძლებლობისა და პერსპექტივების წინააღმდეგ ბრძოლაში. რევოლიუციის ტალღის ოდნავ აწევის დროს, კლასთა ბრძოლის დაწყებისთანავე, პროლეტარულ ლეგიონების წინაშე, რომლებსაც იერიშები მიჰქონდათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამართებოდა ძნელად—გადასალახავი მენშევიზმის ბარიკადა. და ხშირად ამ ბარიკადებს ეწირებოდა მუშათა მასების კლასიური ენერგია; არა იშვიათად აქ ცხრებოდა მათი ბრძოლის აღტყინება და ქრებოდა რევოლიუციონური ცეცხლი. ყოველთვის კაპიტალისტური კლასი უსვამდა მათ სოციალ-დემოკრატიას და უკანასკნელი პირმოთნეობით და თვალთმაქცობით, სიცრუით და პროვოკაციით, შეკერით და ღალატით არღვევდა პროლეტარულ რიგების სიმტკიცეს და მთლიანობას. თავიანთი იდეებით კლასთა შორის მშვიდობიანობის და ეროვნულ მთლიანობის, რევოლიუციონურ მეთოდების საშინელებისა და დამლუპველობის, პარლამენტარიზმის, დემოკრატიის და ბურჟუაზიულ კონსტიტუციის გზით სოციალიზმის განხორციელების შესახებ, იგი შამამავდა მუშათა არმიის ნებისყოფას და ასუსტებდა მის ბრძოლის უნარს და სიმტკიცეს. გაბატონებული კლასი ყოველთვის სისწორით ითვალისწინებდა სოციალ-დემოკრატიის შეუდარებელ სამსახურს საშიშროების და მეჭარის მოლოდინში და ყოველთვის სოციალ-დემოკრატია მზად იყო მისი სამსახურისათვის. მას ამოძრავებდა არა ბატონის მათრახის წინაშე აკანკალებული მონის უსიტყვო ერთგულება, არა „მოლაპარაკე ინსტრუმენტის“ შეუგნებელი მზადყოფნა, არამედ მაგნიტებთან და მშრომელ კაცობრიობის ჯალათებთან საერთო ინტერესების და საერთო მიზნების საესებით შეგნებული იდეა. რა თქმა უნდა არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქს გაცვეთილ და ყაბა რევოლიუციონურ ფრაზებს, რომლითაც ყოველთვის იფარებოდა წვრილი და მახინჯი ბურჟუაზიის იდეოლოგების და მოცაქულების სულიერი ნათესაობა. ეს საკირო იყო მხოლოდ ტაქტიკური და პრაქტიკული მოსაზრებით დასასულ მიზნის უფრო ადვილად მისაღწევთ, ე. ი. მუშათა მასებში რევოლიუციონურ კლასიურ სულის ჩაკვლა და მათი მოძრაობის და მოქმედების მოდუნება. ბურჟუაზიულ-საზოგადოებრივ წესწყობილების სოციალურ შეხლა-შემოხლის მომენტებში, ცოცხალი ანტაგონისტური ძალები გადიან ბრძოლაში, იხსნიან ნიღაბს, ვინაიდან უკვე აღარ შეუძლიათ დაიგვიანონ თავიანთი კლასიური შიხაარსის გაშიშვლებული სიხამდვილე. აშკარა და გადაწყვეტ შეტაკების ასეთ მომენტებში აღარ შეიძლება ნამდვილი სახის დაფარვა. აქ უკვე აშკარად მოჩანს ყველას სახე. ისტორიის ყოველი სოციალური ჯგუფი ან პოლიტიკური პარტია გამოჭყავს რევოლიუციონურ ამბების ორომ-ტრიალში. პრომეთეობის, თვალთმაქცობის შესაძლებლობა მინიმუმამდე ძლიერდება და აშკარავდება მეგრძოლ ძალების ჭეშმარიტი ტენდენციები, ინტერესები და მიზნები.

მაგალითებისათვის შორს არ დაგვჭირდება წასვლა, საჭირო არ არის ისტორიაში ვეძებთო სიახლის და სიცხადის მოკლებული ფაქტები, მაშინ, როდესაც ჩვენს წინაშე იშლება მსოფლიო იმპერიალისტური ომის ფურცლები და მოწამენი ვართ ომის შემდეგი დროის ამბების. გუშინდელი და დღევანდელი დღის ამ ფაქტებით შეიძლება შეუცდომლათ გამოვარკვიოთ სოციალ-დემოკრატიის ნამდვილი კლასიური ბუნება.

თავდაცვის და პატრიოტიზმის დროშამ ერთიანთანა იგი თავისი ქვეყნის ეროვნულ ბურჟუაზიასთან და შეაკავშირა მასთან ბოროტ-მოქმედების სისხლიანი ჯაჭვებით.

რას ნარმოადგენდა იმპერიალისტური ომი? იგი იყო სხვადასხვა ქვეყნების მეტოქე კაპიტალისტურ ჯგუფების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გეგემონიისა და ბატონობისათვის, ხალხთა და მათი ტერიტორიის ძარცვა-გლეჯისათვის, ახალ ხალხების და კოლონიების დამონებისათვის.

კაპიტალისტურ ბრბოების კლასიური მძარცველობის გეგმებს ეწირებოდა მუშათა და გლეხთა მილიონების სიცოცხლე, ეს გეგმა ხორციელდებოდა მთელი მსოფლიოს მშრომელ მასების აუტანელ ტანჯვა-წამებით. და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ხელს უწყობდა იმპერატორებს, მეფეებს და პრეზიდენტებს, რომელნიც დაუზოგავად ეეკეთებოდენ ომის უძირო უფსკოელისაკენ სულ ახალ-ახალ ძალებს.

იგი მუდამ გვერდში უდგა თავის ეროვნულ ბურჟუაზიას და მოკავშირე ქვეყნების ბურჟუაზიას, მტრული ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ის ყოველთვის წინააღმდეგი იყო როგორც თავის, ისე უცხო ქვეყნის პროლეტარიატისა. ამიტომ ლაპარაკი მენშევიზმის კავშირზე იმპერიალიზმთან შეიძლება, როგორც სრულიად ჩვეულებრივ მოვლენაზე. თუ წინადომის წინა წლებში ბურჟუაზიული ელემენტები მეაღვნდებოდენ მენშევიკურ იდეოლოგიაში ზედმიწევნით მარქსისტულ ანალიზის და თეორიტულ კრიტიკის საშუალებით, ეხლა სოციალ-დემოკრატიულ პარტიების მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოადგენს თვალსაჩინო წაკითხვა წიგნს, სადაც მოთხრობილია კაპიტალისტურ კლასების წინაშე მათი დამსახურების გრძელი ისტორია.

სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს წვრილ ბურჟუაზიის, ჩამორჩენილ, კლასიურად და რევოლიუციონურად ნაკლებათ შეგნებულ მუშათა კლასის და ბურჟუაზიულ საზოგადოების გამბრწყინვალი ზეგაელენის ქვეშ მყოფ ზედაფენების ტენდენციების ინტერესების და ფსიქოლოგიის გამოხატულებას. იგი არის „ორი ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ ბანაკების“ ნატარგელი და, რა თქმა უნდა, მას არასოდეს არ შეეძლო ყოფილიყო დამოუკიდებელი ფაქტორი თანამედროვე ხანის კლასიურ ძალთა ბრძოლაში.

მისთვის უცხო იყო პროლეტ

სტფლის მეურნეობის მექანიზაცია

ახალი სამეურნეო იარაღები

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა შეიძინა 40 ცალი სეპარატორი, 2013 ხელის მაკრატელი და 960 ვაზის დანა.—სალეწი მანქანების ბანაწილება.—მოსავლიანობის ფონი.—პურის სალეწი მანქანა ლეწავს 500—600 ფუთ პურს.—ბაკლიერებული მოთხოვნილება სამეურნეო იარაღებზე.—სასოფლო-სამეურნეო რაიონების გაო�ვლება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საშუალებით საზღვარგარეთიდან მიღო 40 ცალი სეპარატორი (რძის წაწერმეობთა დამამზადებელი მანქანა), 2013 ცალი სეკატორი (ვენახის და ხეხილის გასამსხლელი მაკრატელი) და 960 ცალი ვაზის დანები.

სეპარატორები არის 5 ვედრიანიდან 50 ვედრიანამდე, მათი ფასი ულრის 70 მან. 330 მანეთამდე.

ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო ბანკმა შეიძინა და გაანაწილა სამი პურის სალეწი მანქანა-ლოკომობილი. ერთი წაიღო ფშაველის საკრედიტო ამხანაგობამ, რომელიც მას გამოიყენებს თელავის მაზრაში. მეორე წაიღო სამთავისის კომუნამ, რომელიც მას ამუშავებს ტრიფონის ველზე და გორის მაზრის ქვედა ნაწილში. მესამე მანქანა კი ჯერ არ არის გაცემული.

სალეწი მანქანის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ღღეში ლეწავს, სწშენდავს და ოთხ ბარისხათ ანაწილებს 500—600 ფუთ პურს. ამ სამუშაოს კი ცალკე გლეხის ოჯახი რამოდენიმე წყვილ ხარკამეჩით მოუნდება არა ნაკლებ ორი სამი კვირისა.

ეს მანქანები მიღებულია მანჭეიმიდან (გერმანია) ლანცის ქარხნიდან რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ფირმათ ითვლება მთელს მსოფლიოში. ბანკი თვითეულ მანქანას ჰყიდის 14.000 მანეთად. საკრედიტო ამხანაგობები საღეწი მანქანების წაღების დროს იხდიან მანქანის ღირებულების 15 პროც., დანარჩენი ნაწილი მათ ეძლევათ ნისიათ სამი წლის ვადით.

საკრედიტო ამხანაგობები მანქანებს აძლევენ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს, რომლებიც უკვე უშუალოთ იყენებენ მათ. ამ მანქანების საშუალებით პურ ს გალეწავ სოფლის ყველა მეურნეს, რომელიც პურის გალეწვაში, გაწმენდაში, ბარისხებათ დანაწილებაში და ბზის დაკრაში იხდის გალეწილი პურის 10 პროცენტს ნატურით.

საკრედიტო ამხანაგობებს განზრახული აქვთ პურის ლეწვის კამპანიის დამთავრების შემდეგ სალეწი მანქანები გამოიყენონ სხვაგვარ სამუშაოზე. ამ მანქანების, როგორც მამოძრაკებელი ძალის, საშუალებით შემოდგომაზე და ზამთარში შეიძლება ხიდეების გაკეთება, გზის გასწორება-გატკეპნა, სახერხი ქარხნების და ელექტრო-სადგურების მოწყობა და სხვა.

უნდა ითქვას, რომ ამ მანქანებმა დიდი ინტერესი გამოიწვია გლეხობაში. გლეხებს სიამოვნებით მიაქვთ ურმებით თავისი ძრვები ამ მანქანასთან და მისი საშუალებით ლეწავენ თავის მოსავალს. სხვათა შორის, ასეთ მანქანებს ზოგიერთ რაიონებში პირველათ ხედავენ გლეხები. მიუხედავათ ამისა მათ უკვე შეიგნეს მათი მნიშვნელობა და გაძლიერებულ მოთხოვნილებებს უდგენენ ბანკს მათ შეძენაზე.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი სასწრაფოთ შეეკითხა ყველა საკრედიტო ამხანაგობებს, თუ რა მანქანები იქნება მათთვის საჭირო მომავალ წლისათვის. პასუხი ჯერ-ჯერობით მიღებულია 7 საკრედიტო ამხანაგობიდან, რომელებიც უმთავრესათ მოითხოვენ ცელებს, გუთნებს, ტრაქტორებს, სალეწ მანქანებს და სხვა.

ქრონიკა

ბიათურის შავი-ქვის კონცესიის გარშემო.

ამ დღეებში ჰარიმანის მთავარი წარმომადგენელი ინჟენერი რაშკოვიჩი და მისი თანაშემწე რობერტსი მიემგზავრებიან ბიათურაში საკონცესიო ქონების ჩასაბარებლათ.

—

27 ივლისს ბათომში მოელიან ბიათურის შავი-ქვის კონცესიის მთავარ საფინანსო ხელმძღვანელს ბ. შელენკს.

მესაქონლეობა

ეპიზოოტია ივნისში მძინვარებდა რესპუბლიკის ყველა მაზრებში, სენაკის მაზრის გამოკლებით. მსხვილფეხა საქონელში გავრცელებულია უმთავრესად ჭირი, ციმბირის წყლული, თურქული და სხვა. ღორის ჭირი გავრცელებულია თელავის მაზრაში.

ეპიზოოტიის წინააღმდეგ თითქმის ყველგან იყო მიღებული ზომები. მიუხედავათ ეპიზოოტიის ასეთი გავრცელებისა, საქართველოში საქონლის მასიურ გაყიდვას არსად არ ჰქონია ადგილი.

— **კოოპერატიული მუშაობის გაფართოებელებლად.** თბილისის მაზრაში კოოპერატივების გასაძლიერებლად სახკომსაბჭოს მიერ გადადებული 5.000 მან. თბ. აღმასკომმა გაანაწილა შემდეგ კოოპერატივებს შორის: საგარეჯოს—1.500 მან., თიანეთის—1.350 მან., ერწოს—1.000 მან., თელეთის—300 მან., დიღომის—350 მან.

— **„თბილისის სავაჭრო ამხანაგობის“** გამგეთ თბ. აღმასკომის დადგენილებით დაინიშნა ამხ. **იორამაშვილი.**

— **სომხის ბაზრის** გაფართოების საჭირო ხარჯების დასაფარავად თბ. აღმასკომმა დაადგინა კომუნალურ ბანკიდან აიღოს 250.000 მ.

— **ბრძოლა უმუშევრობასთან.** 1 ივლისისათვის შრომის ბირჟაში აღრიცხული იყო 1.833 შავი მუშა, რომლებიდან საზოგადო სამუშაოებზე—ვერის ბიდთან გზის გასაყვანად და საბურთალოს ჭაობების ამოსაშრობად—504 კაცი, ლენინის ძეგლთა რაიონში წყალსადენების გასაყვან სამუშაოზე—53 კაცი; თითო მათგანი დღეში აკეთებს 3 მ.

— **სოფლად სანიტარიის** მუშაობის საწარმოებლად ჯანმახკომმა ლეჩხუმის, რაჭის და დუშეთის მაზრებში მიავლინა ლექტორები.

— **მესაქონლეობის ლეჭიკონი.** დაიბეჭდა და ახლო ხანში დაეგზავნება გლეხკომებს ლეონ ლეონიძის მიერ შედგენილი მესაქონლეობის ლექსიკონი. გამოცემული მიწ. მოქ. კომისარიატის მიერ.

— **მევენახეობისათვის.** საქ. სახ. კომისარიათ საბჭოს ოფ. საქარის (შორ. მაზრა) მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურთან ამერიკული ვაზის სანერგის მოსაწყობად გადასდო 10.000 მან.

— **მეთამბაქოობის შესახებ ვნადლ** მიწათმოქ. კომისარიატმა სუხუმში მოაელინა ამხ. ცაგარეიშვილი.

— **მიწათმოქმ. სახ. კომისარიატში** დღეს შესდგება თათბირი მესაქონლეობის შესახებ.

— **სასოფლო-სამეურნეო სკოლები.** მიწადმოქმ. სახ. კომისარიატმა დაადგინა მომავალ სამოსწავლო წლიდან თავის ხარჯზე აიყვანოს 6 სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი და 15 სასოფლო-სამ. სკოლა.

— **„მეფუტკრეობა“.** იბეჭდება ახლო ხანში გამოვა აპოლონ წულაძის წიგნი **„მეფუტკრეობა“.** წიგნს სცემს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი.

— **ბოტანიკური ბაღის** შეკეთებისასუმჯობესებლად მიწათმოქმ. სახ. კომისარიატმა გადასდო საჭირო თანხა. ბაღი საგრძნობლად დაზიანდა 2 ივლისს ნიაღვარისაგან.

— **საზოგადო სამუშაოებზე** მიმუშავეთათვის იარაღების შეძენას უკვე შეუდგა შრომის სახ. კომისარიატი.

— **თბ. დამზღვევე** საღაროს ცნობით ივლისში თბილისში ირიცხებოდა 2.114 დამზღვევი წარმოებიდან წესებულება.

— **დროებით შრომის უნარდაკარგულებს** თბ. დამზღვევ კასამ ივნისში აუნაზღაურა 46.008 გაცდენილი დღე.

— **ბაქრის საგრანსფორმატო კარავების** და მიწის ქვეშა კაბელის მოწყობის შემდეგ, თბ. აღმასკომის დადგენილებით ისინი გადაეცემა ელადგურების სამმართველოს საექსპლოატაციოთ.

— **სკოლების შენობათა განთავისუფლება.** თბ. აღმასკომმა წინადადება მისცა განათლების განყოფილებას, სკოლების შენობებში მცხოვრებლებს ჩამოართვას ხელწერილი, რომ ისინი თავის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დასცლიან სკოლის შენობებს.

შეცდომის გასწორება

ა | ,ჯ. ფ. ს. რ. შინაგეჭრაპის სახკომის საქართველოში რწმუნებულის დადგენილებაში № 39, რომელიც დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის № 164-ში, შეცდომით სწერია: „საზღვრითი საეტიკეტო ფასების დაწესების შესახებ **იმ პირობებზე...“** უნდა იყოს: „საზღვრითი საეტიკეტო ფასების დაწესების შესახებ **იმ პაპიროსებზე...“**

ხელოვნება

— **ქართული დასი სოხუმში.** მსახიობ იუზა ზარდალიშვილს დაეკალა სოხუმის დრამატიულ დასის შედგენა და ხელმძღვანელობა მომავალ ზამთრის სეზონისათვის.

— **ფოთის თეატრი.** ფოთის აღმასკომმა უკვე შეიმუშავა მომავალი ზამთრის სეზონის თარჯთაღრიცხვა და დრამატიული დასის შემადგენლობა.

— **ესტაფონში** ქუთაისის აკადემიური დასი კვლავ განაგრძობს წარმოდგენების ძართვას. სეზონი დამთავრდება 15 აგვისტოს.

დღეს

— **ლექცია.** ტრამვაის მუშათა კლუბში ამხ. სტრელეცკი წაიკითხავს ლექციას „ინსულბმის თუ არა სიცოცხლე მარსზე?“

— **განათლების მუშაკთა კლუბში.** უკრაინელთა სალამო—„ნატალკა პოლტავკა“ და დიდი დივერტისმენტი—გუდი, ცეკვა.

საკავშირო ავტოგადარბენა

18 ივლისს შესდგა საორგანიზაციო სხდომა საკავშირო საავტომობილო გადარბენის თბილისის ხელშემწყობ კომიტეტისა.

საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ინჟ. ჯორჯაძემ ავტო-გადარბენის შესახებ. მოხსენება სხდომამ მიიღო ცნობად.

მეორე საკითხი, რომელსაც შეეხო ინჟ. ჯორჯაძე მდგომარეობდა გადარბენის ხელშემწყობ თბილისის კომიტეტის და თბილის-კავკავის შორის პუნქტების დაარსებაში.

წარმოდგენილი სქემა პუნქტებისა თბილის-კავკავს შორის და მათი მოწყობისა და შენახვის შესახებ ხარჯთაღრიცხვა თათბირმა მოიწონა და კომიტეტის შემადგენლობა წარმოდგენილი სიის თანახმად დაამტკიცა. თანახმად კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. შ. ელიავას წინადადებისა დამატებით იქმნა შეყვანილი კომიტეტში წარმომადგენლები: „აზნეფტი“-სა და „გროზნეფტი“-სა და ჩეჩნეთის ავტონომიურ ოლქიდან ამხ. **ელდარხანოვი.**

კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ელიავა თითოეულ სარეკვიზიო კომისიაში არჩეულია 3 კაცი.

დასასრულ სხდომა ანაწილებს სამუშაობს კომიტეტის წევრთა შორის.

რათა ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს ყველა ადგილბრივმა ორგანიზაციებმა და აღმოეჩინონ მას დახმარება, როგორც მატერიალური ისე ტეხნიკური და სხვა, ამხ. ელიავა იძლევა წეწადადებას რათა ეს ორგანიზაციები ჩაბან საქმიანობაში ფართო აგიტაცია-პროპაგანდის საწარმოებლად. ამ წინადადების განხორციელება კრებამ დაავალა პრეზიდიუმს.

საბჭ. სასამართლო

თანამდებობის ბოროტად გამოყენება

აღმ. საქ. ოლქის სასამართლოში ამხ. გალუსტიანის თავმჯდომარეობით გაირჩა **ბოროტად** დებული შიუკაშვილის საქმე.

ბრალდებული ჭ. თბილისის მე-6 უბნის კომისრის ყოფილი თანაშემწეა. ბრალედება დანაშაულში, რომელსაც ითვალისწინებს სისხ. სამ. კოდექსის 103 მუხ. (თანამდებობის ბოროტად გამოყენება) და 113 მუხლში (ხელისუფლების სახელის გატეხა).

ქალაქის აღმასკომის განკარგულებით ბრალდებული შიუკაშვილი აღნიშნულ რაიონში ახდენდა სახლებისა და ეზოების დათვალიერებას. ერთი ასეთი დათვალიერების დროს, მოქ. მაგარიანის ბინახე მანნია დაანაბეჭდული სახლის სახურავი, რომელიც აღმასკომის დადგენილებით დროზე უდან შეეკეთებინა სახლის პატრონს. მან იქვე შეადგინა სათანადო ოქმი და განეცადა ძალ. მაგარიანისა, რომ ის დაჯარიმებული იქნება რაპოდენიმე ჩეჩენ-ეცით, იქვე იყო უკანასკნელის მეუღლე ნინა, რომელიც მეტად მოეწონა შიუკაშვილს და განიზრახა მისი გულის მოგება.

მეორე დღით ბრალდებულ შიუკაშვილმა აღნიშნული ოქმი არ ძიუყვანა სიტყვაში და უკან დაბრუნა, თვით კი—შეადგა ერთ საკავალერ დუქანში, იყიდა ყვავილები და თანეტანილი ესტეტრა ნინა მაგარიანისას. შემდეგ ის ხშირად დადიოდა მის ოჯახში, გაჩენდა საჩუქრებს და სხვ.

ცოლმა ყველფერი უთხრა ქმარს, რომელმაც მე-6 უბნის კომისრს საჩივარი მიმართა, რომ მისი თანამშრომე შეუთავაზოდ აყენებს მის ოჯახს.

ბრალდებულ შიუკაშვილმა გაიგო თუ არა ეს, ამ ბიზე შეადგინა ოქმი, რომ თითეოს მაგარიანის ეზოში სახაგვე ყუთში ეფარებელი ნაგავია და სისუფთავე არ აროის დაცული. სინ.-დეკილეში ეს სფოთი ან გამოდგა და ბრალდებული შიუკაშვილი კასეციაციაში იქმა ციცქმელი.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა ეოთ წლით გამასაღში მოთავსება სასტიკი იზოლიაციით. და უფლებათა აღკვეთით.

ცაკის ორი ანსიტიის შეფარდებით ბრალდებული შიუკაშვილი სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნა, ხოლო უფლების აღკვეთა რჩება ძალაში.

შეძრაკვევები

— **თვითმკვლელობის განზრახვა.** 20 ივლის დღის 3 საათზე, მეტეხის ხიდიდან თავის დახრჩობის მიზნით მტკვარში გადავარდა მოქ. ჯუსეინ ახმეტოვი, რომელიც გადარჩენილი იქნა მცურავების მიერ. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ცეცხლი.** 20 ივლისს 10 საათზე საღამოს, კახეთის ქ. № 13 ცეცხლი გაჩენდა ავიოვის სასადილოს, ცეცხლი ჩაქრობილ იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **დახრჩობა.** 21 ივლისს დღის 3 საათზე ჰაერდრომის პირდაპარ მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო ზითელარმიელი ლეონ ავეტისიანცი.

— **თავის მოწამვლა.** 21 ივლისს სასტუმრო „ევროპაში“ სადილების ქ. № 17 ქეფეს დროს მორფით თავი მოიწამლა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ჯანმრთ. სახ. კომისარიატის თანამშრომელმა კოსტანტინე ლუბინსკიმ, ბევრი გადა გზავნილ იქნა საავადმყოფოში.

— **მცირე - წლოვანი ქურდი.** 21 ივლისს ათ-12 საათ. რაიონში შეიპყრეს მცირე წლოვანი გრიგორ გაგნიძე, რომელსაც ხაჭასში ფეხსაცმელებს მკერავს მოპარა 80 მან.

— **ვერ მოახერხა.** 21 ივლისს ალექ. პრ. № 108 მოქ ლუბა უბლუმოვას ბინაზე შეიპყრეს სადაც ოღლი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— **„ბობკა“.** 21 ივლისს ღამით მუ-3 სამილიციო რაიონში შეიპყრეს ქურდი გიორგი სამინოვი, მეტ სახელად „ბობკა“.

— **კარების გატეხის საშუალებით** 21 ივლის საბჭოთა ქ. № 195 გაქურდეს ვასილ მაისურაძის ბინა. წაიღეს სხვადასხვა ნივთები და რევოლვერი ნაგანის სისტემის.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით ვერის გასავალი № 10 გაქურდეს მამანტი ჭოკინაძის ბინა, წაიღეს 55 მან. ნივთები.

— **ქურდობა.** 20 ივლისს 10 საათზე საღამოს, კახეთის ქ. № 13 ცეცხლი გაჩენდა ავიოვის სასადილოს, ცეცხლი ჩაქრობილ იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **დახრჩობა.** 21 ივლისს დღის 3 საათზე ჰაერდრომის პირდაპარ მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო ზითელარმიელი ლეონ ავეტისიანცი.

— **თავის მოწამვლა.** 21 ივლისს სასტუმრო „ევროპაში“ სადილების ქ. № 17 ქეფეს დროს მორფით თავი მოიწამლა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ჯანმრთ. სახ. კომისარიატის თანამშრომელმა კოსტანტინე ლუბინსკიმ, ბევრი გადა გზავნილ იქნა საავადმყოფოში.

— **მცირე - წლოვანი ქურდი.** 21 ივლისს ათ-12 საათ. რაიონში შეიპყრეს მცირე წლოვანი გრიგორ გაგნიძე, რომელსაც ხაჭასში ფეხსაცმელებს მკერავს მოპარა 80 მან.

— **ვერ მოახერხა.** 21 ივლისს ალექ. პრ. № 108 მოქ ლუბა უბლუმოვას ბინაზე შეიპყრეს სადაც ოღლი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— **„ბობკა“.** 21 ივლისს ღამით მუ-3 სამილიციო რაიონში შეიპყრეს ქურდი გიორგი სამინოვი, მეტ სახელად „ბობკა“.

— **კარების გატეხის საშუალებით** 21 ივლის საბჭოთა ქ. № 195 გაქურდეს ვასილ მაისურაძის ბინა. წაიღეს სხვადასხვა ნივთები და რევოლვერი ნაგანის სისტემის.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით ვერის გასავალი № 10 გაქურდეს მამანტი ჭოკინაძის ბინა, წაიღეს 55 მან. ნივთები.

— **ქურდობა.** 20 ივლისს, დღის 1 ს. კრწანისის ქ. № 11 ფანჯრის გატეხის საშუალებით გაქურდეს მოქ. ანნა კუნინბასის ბინა.

— 21 ივლისს, დილის 4 საათზე მირქმის ქ. № 15 გაქურდეს მოქ, რიფსიმე გრიგორიანცის ბინა.

— **ჯიბგრის შეპყრობა.** 21 ივლისს, შეიპყრეს სულეიმან ზეინალოვ ნასიმ ოღლი, რომელსაც ბრალდება ციხანაშვილისათვის ყოფ. ხითაროვის ქარვასლაში 80 მან. ამოეცალა.

მუშათა ცხოვრება

სამნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან

გაზ. „ზარია ვოს ტოკას“ სტატიის მუშა-მოსამსახურეთა ერთ-ერთ სხდომაზე გამოირკვა, **რომ** ადგილობრივი **კულტკომისიის** წევრს მოქ. **სირბილაძეს** დაუხარჯავს თავის საკიროებისათვის **კულტკომის** ფონდიდან 48 მან. 48 კ.

ასეთი დახარჯვა ჩვენ სტამბაში მესამეთ ხდება და მუშები ძალიან აღელვებული არიან ასეთ მოვლენებით.

ჩვენს სტამბას ბედი არ სწყალობს და ყველანი ჩვენზე ლაპარაკობენ და დაგვცინიან.

ამის წინად ჰ. შ. ადგილკომებმა პირველად **დოგონაძემ** და მეორეთ **იორდანაშვილმა** **დახარჯეს** თავის საკიროებისათვის ადგილკომის ფულები. ამ სენით დაავადმყოფებულმა **კულტკომისიელმა** **სირბილაძემაც** დახარჯა ჩაბარებული ფული.

საერთო კრებამ მიაქცია ამას საჭირო ყურადღება და გადასწყვიტა: **დოგონაძე, იორდანიშვილი** და **სირბილაძე** გადახცეს **სახალხო სასამართლოს** საჯაროდ გასასამართლოლად, რათა ერთხელ და სამუდამოდ ამას ბოლო მოეღოს.

მუშა **აჭარი.**

დრტა გოლო მოელოს ამ უწესობას

(მილიციის უფროსის საყურადღებოდ).

არა ერთხელ დაგვიწერია, რომ ორთაჭალის ზოგიერთი მებაღეები დღესაც ვერ ხედავენ მზის სინათლეს და აწარმოებენ გარყვნილ და ბნელ ცხოვრებას. ამ ბნელმა ხალხმა გამუოცხადეს ბოიკოტი ადგილობრივ ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბს (თუმცა იგინი დიდებანია თვითონ არიან ჩვენი ცხოვრებიდან გარიყულნი), უზომო ლოთობისათვის ეს თავ აშვებული ხალხი აწყობს ლატარიას მართავენ ბუფეტს მაგარი სასმელებით და ამრიგად უნებართვოდ, უპატეხტოდ ვაკრობენ,

ეს ლატარიები ჯარჯერობით გაიმართა: **ქაჯაიას, ვაშაკიძის, ისაიას,** და **გაგუას** ბაღებში. აქ ბოლეშლგამომთვრალთა და მათი ზურნის და დოლის ღრიალი-ბუიპენი აყრუებს აოკ-მარეს. შხირად, რასაკვირველია „ლატარია“ ჩხუბით და აურ-ბაურით თავდება. ამ „მკლავქვლობა“-ში სახელოგანოქმული **არიან ლადო ქაჯაია, მიშა გორდაძე** და **ან. მიცკვეიჩი,** რომელთაც სხვათა შორის გაფლანგეს ტყავ ტრესტის საშეფო კომისიის ფულები ეს ავარები თავიანთ შავბნელ საქმეში ირევენ ახალგაზრდებსაც.

აქვე კლუბის გვერდით მეთევზეთა-ავარების ნავებში გამართული ქეიფი, არონის ჭყიპინი, ძალიან ხელს უშლის მუშათა კლუბის მუშაობას. იმ დროს როდესაც კლუბში ლექციაა ან წარმოდგენა სულ რაღაც 50 აკენის მანძილზე ასეთი უწესობა ხდება. და ბოლო უნდა მოეღოს ამ უწესობას.

მუშკორი **ნაპერწკალი.**

ალაგმეთ სახლის თავხედი პატრონი

(მეორე უბნის მილიციის საყურადღებოდ).

ი კიდევ ერთი გაიძვერობა სახლის პატრონისა: ვეძინის ქუჩაზე № 15, **სახლი ეკუთვნის ვინმე მარტიროზოვს.** აქ უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ სიმხეცეს სჩადის ხსენებული მარტიროზოვი მდგმურების მიმართ: **მარტიროზოვი** საშინლად ავიწროებს თავის მდგურებს და ყოველ დღეს თითქმის ლანძღავს და აგინებს მათ. მდგმურებმა **რამოდენჯერმე** მიმართეს მილიციას და ხელწერილიც ჩამოართვეს **მარტიროზოვს,** რომ ასეთები არ განემეორებია, მაგრამ ამაოდ. ეს მაინც თავისას არ იზლის. ეს **სპეკულიანტი** მდგმურებისგან იგირავებს ნივთებს,—ზეკაფებს, კამოდს, გრამაფონებს და სხვ.

საქმიროა **სათანადო** ზომები მიიღოს მილიციამ ამ **ვაკბატონის** წინააღმდეგ.

მუშკორი: ა. დ. მათხოეკელი.

—

ეს მგზავანი ჩვენია და ის ჩვენ გვიყვარს

თბილისის ტრამვაის ძველი მუშების ერთი ჯგუფი ულრმეს მადლობას უძღვნის ჩვენს საყვარელ, ჩვენ ჰახგებზე მომღერალ მგოსანს ამხ. **გიგო ხერხეულიძეს,** რომელიც არ დაინ'ფარა და სიჩუქრად გამოგვიგზავნა თავის მიერ შედგენილი ლექსების **კრებული „ქარხნის გუგუნი“** (40 ც.) და **„სახსოვარი“** (40).

მუშების გულ ს უკეთესად მუშა იცნობს, **მუშების** ტკივილებს **უალრესად** მუშა იგრძობს და გიგოც, როგორც მუშა, ჩვენს **კილოზედ** ღიღინებს **და** თავისი **მახვილი** ალმით ნაღველს **გვიქარვებს** და **შრომის** იშტახე მოვყავართ.

გიგო, როგორც **მშრომელთა** **მგოსანი,** წრფელი **გულით** მღერის, **მას** ფუღით ვერ ვიყიდით.. არც **მოგვეყიდება.** ის იწვის **იმავ** ალით, **რაც** ჩვენ **გვწვამს,** ის **გრძნობს** და **განიცდის** **მას,** **რასაც** ჩვენ, **და** **სწორეთ** **მიტომ** **არის,** **რომ** **მისი** **წრფელი** **გულით** **ნამღერალი** **ლექსები** **ჩვენს** **გულს** **მალამოსავით** **ეფლინება.**

ფსურვებთ **მას** **ხანგრძლივ** **სიცოცხლეს,** **რომ** **კიდევ** **დაეესაჩუქრებიეთ** **მას** **ასეთ** **ტკბილი** **ლექსებით.**

ამხანაგების **მონდობილობით: ილარიონ ხულაძე, შაკრო ყოჩიშვილი, სილო გორდაძე, მიხ. გიორგაძე.**

ბილეთებს ძვირად ჰყიდიან

ქალ. სამტრედიის, **მე-3-მე** ილორის **უბნის,** ჯულაშვილის **სახ.** **კლუბში,** **ბილეთების** **ფასი** **მეტად** **დიდია,** **რის** **გამოც** **მუშა-გლეხობას** **კლუბში** **შესვლა** **უძნელდება.** **მაგალითად,** **ხუთშაბათს,** **9** **ივლისს,** **ხსენებულ** **კლუბში** **გაიმართა** **მსახიობ** **ლადო** **გეფშიანის** **ბენეფისი.** **გლეხობამ** **ვერ** **მოახერხა** **კლუბში** **შესვლა** **და** **უმრავლესობა** **გარეთ** **დარჩა.**

ინფ. ხაბა ადამია.

ორთაჭალის მუშათა ბინებისა

ორთაჭალაში არის ტყავ-ტრესტის როგორც საზამთრო, ისე თეთვე საზაფხულო კლუბი. კლუბთან მოწყობილია თეატრი, სამკითხველო, ლენინის და სამხედრო კუთხეები, ფიზკულტურის წრე და სხვა, იმართება უფასო წარმოდგენები, ლექციები, კინო და სხვ.

ეს კლუბი ერთად-ერთია ამ გაზაპირა უბანში და იგი მართლაც აძლევს მშრომელთ საშუალებას თავისუფალი დრო გაატარონ აქ დასვენებაში.

ამ დღეებში მოხდა ამ კლუბის გამგეობის ახალი არჩევნები და მოწვეული ახალი გამგე ამხ. **შაკრო ტალიკაძე.** ამხ. ტალიკაძე ძველი გამოცდილი მუშაა და მასთანვე ამ დარგშიც გამოცდილი და ვიმედოვნებთ, რომ მიუხედავთ მრავალი დაბრკოლებებისა, იგი გააცხოველებს ჩვენს კლუბში მუშაობას.

საქიროა მეტაღვეთა კავშირმა და კულ ტგანყოფილებამ დაპირებული სუფსიდიის გადიდება ეხლავე დაამტკიცონ.

ახალი მეტყველი.

—

ეზოში აუტანელი [illegible]ურეა

(მე-12 უბ. მილიციის უფროსის და სანიტარული განყოფილების საყურადღებოდ)

შერემეტიევის ქ. სახლს № 34 აქვს პატარა ეზო, ამ ეზოს ირგვლივ არის საცხოვრებელი ბინები, რომელშიაც ცხოვრობენ მუშა-მოსამსახურეები.

ამ ეზოში არის მტრედების გალიები; ეს გალია ჰქმნის სიბინძურეს, რაც აწუხებს მდგმურებს.

აღნიშნულ ეზოში აღადგინეთ სისუფთავე.

მუშკორი მღელვარე.

—

მოსცხეთ დამპალი სანოვაგით მოვაჭრეს

(მილიციის საყურადღებოდ)

ლაზარევის ქუჩიდან ჩეღურეთში (მე-8-სამ. უბანი) ნშირად დაიარება ერთი მოხუცი კაცი, რომელსაც ორი თუნუქის ვედრო დაადგია სავსე ცხვრის და ძროხის შიგნეულობით (ფეხებით და სხვა ნაწილებით).

ეს მოხუცი ღარიბ მცხოვრებლებზე (ხაშის სახელით) ჰყიდის. ასეთი შემთხვევა ჰქონდა ადგილი 19 ივლისს—ერთმა ქალმა იყიდა ეს შიგნეულობა 50 კაპ. და როდესაც მომზადების შემდეგ აპამა თავის შეილებს, ისინი კინაღამ მოიწამლენ და თითქმის სიკვდილის პირას იყვნენ ასეთი შემთხვევა შეიძლება სხვებსაც გახმეორდეს.

საქიროა გაიკეს განკარგულება, რომ მორიგ მილიციოხერმა ადგილის თვალყური ასეთ სანოვაგეთ მოეკრეს და არ მისცეს მას ნება ასეთის გაყიდვისა.

მუშა-ხალხი უფრო იაფ-ფასიან სანოვაგეს ეტანები და ასეთი ცუდ პარისხის სანოვაგე მათთვის საბედისწერო იქნება.

მუშკორი უბნელი.

წერილები პროვინციიდან

მეგამგეობა ჩვენში

(წერილი სენაკიდან)

მებამბეობის განვითარებას ჩვენში უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

სენაკის მაზრაში მებამბეობას უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღებაც ექცევა. გლეხი, მართალია, წინეთ თუ სოსლდა ბამბას, სთესდა მხოლოდ ოჯახის საჭიროებისათვის: ძაფის ამოსართავად და სხვა ზოგიერთ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. წარმოებითი ხასიათი მას არ ჰქონდა. მაგრამ უკანასკნელ წლებში ბაბბის თესვას წარმოებითი ხასიათი მიეცა. მაგრამ აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ გლეხს ჯერ კიდევ აკლია ერთი მხრივ ცოდნა, თუ როგორ და რა ალაგას თესოს ბამბა და მეორეს მხრით ნივთიერი დახმარება, რომ შესძლოს გააფართოოს ბამბის სათესი არე.

ჩვენს მაზრაში სპეციალურად მებაბეობის საქმისათვის გამოგზავნეს ერთი მებამბე აგრონომი, რომელმაც მოაწყო ორ ალაგას: ს. ბანძაში და ნახარეგაოში საჩვენებელი პუნქტები ბამბის სათესად. ეს ამხანაგი სცდილობს შეაჩეიოს გლეხები ბამბის კულტურულად დათესვის წესს და შეუწყოს ხელი მისი არის გაფართოებას. მაგრამ როდი კმარა მხოლოდ ერთი სპეციალისტი ამ საქმისათვის. ჩვენი მაზრა დიდი მაზრაა.

საქართველოს სამეურნეო კოოპერაცია აგრონომიულ პერსონალთან ერთად მოწოდებულია ამ საქმეს სერიოზული ყურადღება მიაქციოს.

მართლაც ამას წინეთ საბამბო კამპანიის ჩასატარებლად, ჩვენმა საკრედიტო ამხანაგობებმა (მათი რიცხვი კი მაზრაში 6) მიიღეს ორ-ორი ათასი მანეთი, ეს თანხა მათ დაურიგეს მებამბე გლეხებს იმ პირობებით, რომ კულტურულად ეწარმოებიათ ბამბის საქმე და გაეუფაროოებინათ მისი არე. სამწუხაროდ, ეს თანხა ბევრმა გლეხმა პირდაპირ დანიშნულებას არ მოახმარა, საკრედიტო ამხანაგობებმა კი ვერ უთვალყურეს მათ და ვერ გაეწიეს სათანადო კანტროლი. რომ ყოფილიყო სწორი მეთვალყურეობა. სწორი კონტროლით ეს ფული თავის დანიშნულებას მოხმარდებოდა, მებამბეობა უფრო წინ წაიწევდა და მომავალ წელში მეტი დათესებოდა.

მომავალ წლისათვის კი საჭიროა: 1) შეძენილ და დარიგებულ იქნას მოსახლეობის შორის საუკეთესო ჯიშის ბამბის თესლი, 2) გადიდდეს მებამბე აგრონომების რიცხვი სამამდის მაინც, 3) გადიდებულ იქნას სეხსის სახით პირობით რამოდენიმე თანხა იმ მებამბეებთათვის დასარიგებლად, რომელნიც სპეციალურად ამ საქმეს მოკიდებენ ხელს და 4) დაწესდეს საღი კანტროლი მებამბეობის განვითარების მიზნით იმ მებამბეებზე, რომელნიც მიიღებენ თესლსა და სესხს ფულად.

ბ. უჩანეიშვილი.

აბასთუმანის პირველი სანატორიუმი

საბჭოთა ხელისუფლების უახლოეს მიზანს შეადგენს მუშათა ჯანმრთელობის დაცვა. სწორედ ამ მიზნისათვის დიდი თანხები იხარჯება სხვა და სხვა აგარაკების და საავადმყოფოების მოსაწყობად.

ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია აგარაკ **აბასთუმანის** პირველი სანატორიუმი. აღნიშნულ სანატორიუმში ამ ჟამად იმყოფება 150-დე ავადმყოფი, რომლებიც ჩამოსული არიან ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა კუთხიდან. უნდა ითქვას, რომ აქ ავადმყოფები კარგ პირობებში იმყოფებიან: თითეული ავადმყოფი დღეში იღებს ხუთჯერ საუკეთესო ხარისხის საჭმელს, საცხოვრებელი ბინა კარგია, სისუფთავე დაცულია, საექიმო პერსონალიც საუკეთესოა და გულდადებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ავადმყოფები საჭიროებისამებრ ღებულობენ წამლეულობას. თითოეული ავადმყოფი კვირაში ერთხელ სარგებლობს აბანოთი. აქ ბევრი ავადმყოფებისაგან გაიგონებთ ხოლმე საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიყვარულს.

ამჟამად მყოფ პირველ პარტია ავადმყოფებს ვადა გაუთავდებათ იულისის თვის დამლევს, ხოლო აგვისტოს თვის პირველიდან აქ მოელიან რიცხვით იმ

პარტიული და საგაზეთო კალენდარი

პარტიული

— სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ მუშაკის კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ 24 ივლისს, პარასკევს, ქართული მუშაკის შენობაში (სამსწავლო შესახვევი № 4—2) შესდგება (სრულ 5 საათზე) ქართულ. მუშაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედების გაერთიანებული მორიგი კრება. ქართულ მუშაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედების ყველა წევრები და კანდიდატები, რომლებიც დარჩენილი არიან ქალ. თბილისში და მიმაგრებული ზემოხსენებულ უჯრედებზე, პარტ. დისციპლინის წესით უნდა გამოცხადდენ დანიშნულ ადგილას დაუგვიანებლად.

თ. კ. წინადადებას იძლევა პარასკევს, 24 ივლისს

მოკრიბ პარტიულ დღეს

წესრიგში დაისვას შემდეგი საკითხი: **რ. კ. პ. ა | კ. საოლქო თათბირის რეზოლიუციების განხილვა.**

რეზოლიუცია მოთავსებულია „ზარია ვოსტოკაში“ № 925, „რაბოჩაია პრავდაში“ № 159, „კომუნისტში“ № 160.

თ. კ. მდივანი **მიხ. კახიანი.**

არსრაიკომი იუწყება: დღეს, 23 ივლისს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

ქალმი ჩამოთვლილ ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდენ თავის დროზე პარტწევრობაზე გადასარიცხად:

ა. ალბეგოვი, ლ. არხიპოვი, ვ. აუშკინ, გ. ამბარცუმოვი, ა. ბოზზაკ, ს. ვიხტელ, ე. გოლბა, ა. ფრიგოლია, ი. გნენი, ფ. ფიბარი, ა. ზურნაჩიან, მ. კოზაკოვ, გ. კოზოვი, ს. ციტაშვილი, გ. კახეთელიძე, ს. კარამოვი, ს. ლაპინ, ა. ლაშკევიჩ, ე. ლომთათაძე, ი. ლაშქარაშვილი, ა. სემინოვი, ტ. სიომკინ, კ. სიდოროვი, გ. სუკიასოვი, ი. ტუროვი.

მდივანი **მეღლაძე.**

დღეს, 23 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში დანიშნულია ქალთა ორგანიზატორების კრება.

დღეს, ხუთშაბათს, 23 ივლისს, საღამოს 5 საათზე მე-30-ე შრომის სკოლაში (ჩერკეზიშვილის ქუჩა № 100) შესდგება ლენინის რაიონის დელეგატური ქალთა კრება დასწრება ყველა დელეგატების და ორგანიზატორ-ქალების აუცილებელია.

ავიაქიმის მეორე რაისაბჭო იუწყება: დღეს, 23 ივლისს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშ. клუბში შესდგება რაისაბჭოს სხდომა უჯრედების ბიუროების წევრებისა და მფივანებთან ერთად. საკითხი: ეერეხლის ლატარიის შესახებ. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

მეორე რაისაბჭო.

ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს პარტიის ახალ წევრებს და კანდიდატებს, ვისაც ჯერ არ მიუღიათ პარტბილეთები და საკანდიდატო ბარათები მათ მისაღებად გამოცხადდენ დღეს, 23 ივლისს ამხ. ისაკოვთან.

მდივანი **სტეფ. უ.**

განცხადებები

ლომათ-დამწურებული მეუღლე—ნინა, შვილი—ბალიკო, სიდედრი ანნა ლუკაშვილი, მოყვრე—დავით ლუკაშვილი, სიდედრი—ნატალია, ქვისლები—დათიკაშვილი და თურქაძე, ძმისწულები—მაშო და ელენა, დისწულები—სონა ბოლოლოტუოშვილი, დათიკო კვლიშვილი და ბაგრატა ყლენტი აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა მათთვის ძვირფასი

გაბრიელ დავითის ძე კიკვაძე

დასაფლავება მოხდება პარასკევს, 24 ივლისს, ნაშუადღევის 4 ს. ქ. თელავში. 2—1

გაუნელებელ მწუხარებაში მყოფნი: ქმარი ლავრენტი, შვილები: ვალიკო, კოლა, გიორგი, არქიპო, ნეო (პასიკო), თამარ და მიხეილ კანდელაკები, რძლები: კატუშა ვაჩნაძე და აპოლინარი სვანიძე, სიძე აკაკი სარაძე, შვილის შვილები; ნინო, ლილი, ლეილა სარაძენი, ოთარი და გულნარა, ელეონორა, ელენა და შალვა კანდელაკები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დაუვიწყარ

გულდან კანდელაკის

უდროოთ დაკარგვას, დასაფლავება მოხდება სოფ. ნიკოწყვინდაში (რაჭა) 1519 3—2

ღრმა დაკარგულ ეგზულნი: და მაიაქ ბიბეილის ასული ოუოგუ.ულაქ სიხარულიმისა, სიძე—ილია ლუკასძე სიხარულიძე, დისწულნი: ვახტანგ და რეზო, ბიძა—სამონ ამბაკოსძე, ბიცოლა ქეთევან დავითის ასული და ბიძაშვილები: ნინა, მიშიკო და დათუშა ჩხეტარაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ შაბათს, 18 ივლისს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აგარაკ ბაბალოთმანში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სალენე მისეიდან ასული სურგულაძე-ქიმოძისა

რომლის ოასაოოლიბულ იქნა იქნი. 2048 1—1

დედა—ნინო ეგნატეს ასული ტუღუშისა, ძმები ვალოდია და დავითა, კოტე ტუღუშები, რძალი—ვარა ივორდანის ასული ტუღუშისა და დეიდაშვილი ვანო სალიბისტროსძე ხონელია მეუღლით, გულდამწვარნი აუწყებენ თავიანთ ნაცნობ მეგობართ, რომ 25 ამა თვეს, დღით შაბათს, შუადღის 12 საათზე, სოფელ **ლაშეში** წმ. ბარბალეს ეკლესიაში, მათი დაუვიწყარი

თამარა ლავრენტის ასული მაჭავარიანის

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. 2059 1—1

დაუსრულებელ მწუხარებაში მყოფნი ქმარი შაქრო მერაბისძე ძაბავარიანი, მამა მერაბ ვიორგისძე, დედა ეშხა, ძმა არჩილ, რძალი პარუსა და თამარა მაჭავარიანები, სიძე სოლომონ სამსონისძე ყლენტი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ შაბათს ა | წ. 25 ივლისს სრულდება 40 დღე რაც მათ დაკარგეს მათი სიამაყე, ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი

თამარა-(ლავრენტი ტუღეშის ასული) მაჭავარიანისა

ამისათვის აღნიშნულ დღეს ე. ი. 25 ივლისს, დღით შაბათს, სოფ. ოიშში „წმინდა ბარბალეს ეკლესიაზე“ გადახდილი იქნება 40 ლის წირვა და პანაშვიდი დღის 10—12 საათზე. 2059 1—1

გულდათუთქული მშობლები: ილია მოსესძე თევზაძე და თამარა ლავით ლუკაშვილის ასული თევზაძისა შვილებითურთ აცნობებენ ნათესავებს, ამხანაგებს და მეგობრებს უსაყვარესი პაწაწკინა ბიჭუნკა

ამირანიკოს

დროოთ დაკარგვას, რომლის გამოსვენების დღე დანიშნულია ქ. ამტრედიაში 23 ივლისს, დღეს, ნაშუადღევის 2 ს. საკუთარი ბინიდან სოფ. ვომში 2057 1—1

„წერაკუმსი“

სრულიად საქართველოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება

1926 წლისათვის სცემს დასურათებულ

კედლის კალენდარს და სასოფლო-სამეურნეო კალენდარს

შეკვეთა ამ თავითვე შეიძლება „წერაკუმსი“-ს წიგნის მაღაზიაში თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 22.

თავმჯდომარის მოადგილე: ციწაძე.

მდივანი: გოგიტაძე.

ნ-ს. 1453. 2—2

ანონსი კინო „არფასტო“

ფაგათ, 25 ივლისიდან

ბოვ-ვიპ უსახელო კაცი ბოვ-ვიპ

გარრი ლიდტკეს მონაწილეობით

ნ. 1524 1—1

რადიო **მთელი** **ნავთლულის** **ყველამ, ვისაც** **კონცერტები ამ.-კავკასიისათვის** **რადიო სადგურის საშუალებით** **აძლევთ რადიო-მიმღები**

მოისმინეთ!!

დღე და საათი ცალკე იქნება გამოცხადებული. ყოველგვარი ცნობები კანტორაში.

„ყველაფერი რადიოსათვის“ მ. ლ. შვეიცერის.

ნ. 1517 პუშკინის ქ. ყოფილ თამამშვილის ქარვასლა. 2—2

მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

მ. ლალიძის საუკეთესო, ხელოვნურათ მომზადებული

ხილეულ-მადნეული და სამკურნალო **წყლები,**

რომლებიც მოამზადებულია უმაღლესი, ნამდვილი, რჩეული ხილეულობის ყვავილებისაგან, ნამდვილ წყლით უაღრესათ გაუჯგოგისებულ ბოთლებზე.

ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილ ღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ან მისი საკუთარი განყოფილებიდან.

რუსთაველის პროსპექტი № 18

ნ. № 1496 4—2

ქალაქ თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველო

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ თანახმად აღმასკომის პრეზიდიუმის ა | წ. 16 ივლისის № 20 დადგენილებისა დროებით შეწყვეტილია ბინების გაცემა საცხოვრებლად და ამ საკითხზე შემოსული განცხადებები, როგორც ძველი ისე ახლები განხილულნი და დაკმაყოფილებულნი არ იქნებიან.

ყველა უქსის განკარგულებაში მყოფი ბინები მოხმარებული იქნებიან გზების გფფართოების გამო გამოწვეულ დასანგრევი სახლებიდან გამოსასახლებელ მოქალაქეთა დასაკმაყოფილებლად და დაწესებულებების საჭიროებისათვის.

ამ საკითხის მოწესრიგების შემდეგ უქს-ი ხელახლა შეუდგება მოქალაქეთა ბინებით დაკმაყოფილებას, რაც იქნება გამოცხადებული პრესის საშუალებით.

უქს—ის გამგე (ხელმოწერილია)

საცხ. სად. სექციის გამგე **ბაქანიძე.**

ნის. № 1516 3—3 კანცელარიის გამგის მაგ. **ჩიგოგიძე.**

კარტულ და საბაგოთა საკოლეგიის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების, მუშათა ორგანიზაციების და კლუბ-სამკითხველოების და

ყველასა და ყველას საყურადღებოთ

საქართველოს პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიამ

მიიღო დიდძალი ახალი საქონელი

და მომავალშიც ასეთს ყოველთვის თავის დროზე მიიღებს

მიღებულია როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის შემდეგი საქონელი:

ქაღალდი პელიკანი 18 მან.
საზღვარგარეთის ენკოპა კოლოფი 70 კაპ.
რუსეთის საკონსეცია ეომასის ფაბრიკის ქაღალდი 6 მან.
ლენტი „პელიკანი“ საზღვარგარეთის 6 მან.
იგივე რუსეთის საკონ. ეომასის ფაბრიკის 2 მან. 20 კაპ.
გატოვილნიკები 15 მ.ნეთიდან ზევით.
კანტორის საანგარიშო ჩოთქები 3 მ. 25 კაპ. 11 მ. 20 კაპ.

მიღებულია აგრეთვე დიდძალი

ალბომის, ყდის, მაგიდის გადასაფარებელი და სხვა ქაღალდები. **კალა** სხვადასხვა ნომრები, საკეთესო ხარისხის ჰურტფელები, გადასაღები (Копировальн.) წიგნები, **კალმები** ევრიკა და სხვ. ყველა „ლეონარდის“ ქარხნისა, ხაზულნები საკავშირო ნიშნითა და სხ ა

ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები

საქონელი იყიდება ყველზე როგორც ფასრლად, ისე ბითუმად

საბრძნოგლად დაკლებულ ფასებში

წიგნის მაღაზიას უფალო კავშირი აქვს დაკავებული საკანცელარიო ნივთების დამამზადებელ ტრესტებთან და რუსეთის ყველა დიდ გამომცემლობებთან

ყოველ დღე ვღებულობთ ჩქარი ფოსტით ახალ-ახალ ლიტერატურას

ფასები ყოველგვარ კონკურენციის გარეშეა

საქონლის დაკვეთა შეიძლება ფოსტითაც, საქონლის ღირებულების ერთი მეოთხედის წინასწარ გადმოგზავნით.

საქონელი მოითხოვეთ შემდეგ ჩვენ მაღაზიებში:

მაღაზია № 1 ცენტრალური, რუსთაველის პრ. № 22.
„ № 2 ვაგზლისა და გოგოლის ქუჩ. კუთხე.
„ № 3 ვოლოდარსკის ქ. № 9 გლეხთა სასახლის ქვეშ.
„ № 4 პლეხანოვის პრ. № 101
„ № 5 კომინტერნის (ყოფ. სასახლის) № 4.

განყოფილება სენაკეში.

ნის. № 1454—5—5 **პატივისცემით გამგეობა.**

მუშათა ცენტრალური კლუბი

დღეს, 23 ივლისს, შესდგება

მეორე სიმფონიური კრება

დამსახურებულ მსახიობის **სტოლერმანის** ხელმძღვანელობით და **მ. მალუნცევის** მონაწილეობით (ვიოლენჩელზე).

ნ. 1528 1—1

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი

წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, საზოგადო ორგანიზაციებს და კერძო პირთ ხუთი დღის განმავლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა, წარმოადგინონ საქართველოს მ | გ. ინსპექციაში (რუსთაველის პრ. სახ. № 24) სწორი ცნობები ყოველგვარ მათ მიერ გადახდაზე, ყოფილ საქართველოს სასურსათო კომისარიატის სალიკვიდაციო კომისარიატისადმი, დღიდან აღნიშნულ კომისიის დაარსებისა, ე. ი. 1923 წ. 20 დეკემბრიდან—დღემდის.

ყველა ისინი, რომელნიც არ ასრულებენ აღნიშნულ წინადადებას, მიცემულ იქნებიან კანონიერ პასუხისგებაში.

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო

კომისარი დოლიძე.

ს. ც. ს. კ. და მ | გ ინსპექციის აღმასრულებელი

ნ. 1529 1—1 **გამგე ადიანი.**

საჯარო პატრონობა

250 სხვადასხვა სახელწოდების საკანონმდებლო ... დანიშნულია მუშათა მთლიან კოოპერატივის საბაზრო ... ბის მიერ ა | წ. 26 ივლისს დილის ... (ყოფ. კირკის) № 7, შესავალი ეზოდან

ცნობების მიღება შეიძლება: დილის 8—11 საათამდე ამხ. **ბაბანიძესთან**

ნ. 1526 2—1.

ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო კანტორა

ТЭЖЭ

ცხიმის და ძვლების დამამუშავებელ მრეწველობის მოსკოვის სახელმწიფო ქარხნების გაერთიანება „ჟირკოსტი“ („Жирность“) დონის როსტოვი, მოსკოვის ქ. 75. ტელ. 30—54.

ყიდის დონის როსტოვის საწყობიდან: საპონს ხელის, პარფიუმერიას და კოსმეტიკას მაქსიმალური შეღავათით ახალი პრეისკურანტით; საოჯახო საპონს, ქარტოფილის სანთლებს, გლიცერინს ტეხნიკურს და ქიმიურს, ალზარინის ზეთს და ტრესტის წარმოების სხვა პროდუქტებს. ნის. 1489. 3—3

ოავი ზღვის რკინის გზის სამხრეთ ნაწილის საალმუენებლო სამმართველო

ამით აცხადებს, რომ **10** აგვისტოს, დღის **12** საათისთვის სამმართველოს გიანაზე (სადგურის ქ. № 15) დანიშნულია ოავი ზღვის რკინისგზის სამხრეთ ნაწილის

სად. ახალ-სენაკიდან ზუგდიდამდე მიწის სამუშაოთა გაცემაზე კონკურენცია

კონკურენციაში მონაწილეობისათვის გამოიძახებიან კვალიფიკაციურ მუშების ცალკე ორგანიზაციები, რომლებიც აღმშენებელთა პროფკავშირში რეგისტრაციაში არიან გატარებული და ამის შესახებ აქვთ სათანადო სიმოწმეები.

ასფალტებელი მასალა, რომელიც საჭიროა ლდის სამუშაოსათვის გაიცემა სამმართველოდან, სამუშაოსათვის ყველა საჭირო იარაღის შეძენა, მის შეკვეთა და შეკეთება შეადგენს არტელის მოვალეობას.

აღნიშნულ სამუშაოთა აღების მსურველებმა უნდა შეიტანონ 10 აგვისტოს, დღის 12 საათამდე წერილობითი განცხადება დაბეჭდილ პაკეტებში, წარწერით: „ოავი ზღვის რკინისგზის სამხრეთ ნაწილის საალმშენებლო სამმართველოს 1925 წ. 10 აგვისტოს კონკურენციისთვის“.

განცხადებაში საჭიროა აღინიშნოს ყოველ ყარიმისათვის ცალ-ცალკე თითო კუბ. მეტრის სამუშაოთა ფასი, 100 მეტრამდე გადმოზიდვის და გადმოტანის ჩათვლით, 100 მეტრზე ზევით კი უნდა აღინიშნოს დამატებითი ფასი ყოველ კუბ. მეტრზე და ყოველ გრძივ მეტრზე.

განცხადება შემოტანილი ზემოაღნიშნულ კონკურენციის დღის 12 საათის შემდეგ დატოვებული იქნება განუხილველად.

განცხადების შემომტანი პირი ვალდებულია კარგად გაეცნოს ოავი ზღვის რკინისგზის სამუშაოთა წარმოების სატეხნიკო პირობებს, რომლების ნახვა შეიძლება სამმართველოს სატეხნიკო განყოფილებაში ყოველდღიურად 9 საათიდან 2 საათამდე, და ავრეთვე მუშაობის წარმოების წესსა და ხასიათს ყარიმის თვისებას და ზრდის ადგილობრივ პირობებს.

განცხადება შეიტანება სამუშაოთა ნაწილობრივ აღსრულებაზე რაოდენობით არა უმეტეს 100.000 კუბ. მეტრისა და მასთან განცხადებაში სასურველია ხელნაწერით აღინიშნოს სამუშაოთა რა დაახლოებით რაოდენობის კისრულობს თავის თავზე ორგანიზაცია და რა სააღმშენებლო პაკეტების შეა.

განცხადება შეიტანება სათანადო ბლანკებზე, რომლებიც მიეცემა სააღმშენებლო სამმართველოდან.

ამა თუ ამ არტელის მიერ აღებულ სამუშაოთა დამთავრების ვადა, დამოუკიდებლად სამუშაოთა რაოდენობისა, დანიშნულია ექვსი თვე.

სააღმშენებლო სამმართველოს უფლება აქვს გაადიდოს ან შეამციროს სამუშაოთა რაოდენობა 25 პროც.-ით.

საარტელო მუშების ორგანიზაციის მიერ კონკურენციისათვის საწინდრის წარდგენა არ არის საჭირო. საწინდარი აღებული სამუშაოთა საერთო საკასურის 10 პროც.-ის რაოდენობით შესდგება აღსრულებულ სამუშაოთა ყველა ნაწილობრივ გადასახდელიდან 15 პროც.-ის დაკავებით.

სააღმშენებლო სამმართველოს უფლება აქვს გასცეს სამუშაო არა იმ ნაკლებ ფასებში, რომელიც გამოცხადებული იქნება კონკურენციაზე, იმ შემთხვევაში, თუ უფრო მაღალი ფასის განმცხადებელი კონკურენტი მეტ ნდობას დაიმსახურებს.

ოავი ზღვის რკინისგზის სამხრეთ ნაწილის

სამუშაოთა უფროსი ინჟენერი—ქაციტაძე. ნ. 1515 3—2

მანგლისი

ეძიები ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან. და ქალთა ავადმყოფობაში ... დილის 9—12 სა თამდე და საღამოს ... საათამდე. 25—9

ბალეგეთი აგარაკი, ბალის მახლობ...

ეძიები ა. დ. კეკელი

ნიშნიდან, ვეინერიზდი და ... ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე ... საღამოს 5—8. ქალბატონებს პროსპექტი 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

25—10

ეძიები გ. ბ. მეგრაგიანი

ბად მყოფობა ფილტვების, გასული ტანტ... კულიოზის. სპეციალურნალობა ... ელექტრო-სინათლე-რენტგენის საშ. ... ნეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა ... სხვიები.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ... ბებუთოვის ქ. № 23.

25—7

დავკარგე პირადობის მოწმ... საბინაო დეფარტო, ... ლის ნასყიდობა ნატარიუსთან დარეგისტ... ლი,—მიწის გეგმა № 10, წყლის ნ... თვის ქვითარი ზინა დემეტრაშვილის ... ხელზე. თუ სადმე აღმოჩნდება, შესა... ჯოლდოს მიიღებს მპოვნელი ლოტ... ქეში № 15. ჩ. გ. 1—1 2058

დავკარგე მეტრიკული ამონაწერ... № 1280 ილია წყალ... რის სახელზე. ჩ. გ. 1—1 2061

დავკარგე მეტრიკული ამონაწერ... № 2093 გაცემული ... რაბ თავზარაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 2060

დავკარგე პირადობის მოწმ... სამხედრო აღრიცხ... ქაღალდი და პროფკავშირის წიგნაკი ... გორი პავლეს ძე ნიკოლაჩენკოს სახელ... ჩ. გ. 1—1 2057

დავკარგე პირადობის მოწმ... მოცემული საქართ... ლოს სახალხო კომისართა საბჭოდან ... ყოფილის სახელზე და მთლიან მუშათა კო... პერატივიდან 5 35 მან. საქონლის გამოსა... ნი ორდერი. ჩ. გ. 1—1 2061

დავკარგე მეტრიკული ამონაწერ... № 1752 მიღებული ... ნინანის მმაჩის განყოფილებიდან ... ტინა აკაკიანცის სახელზე. ჩ. გ. 1—1 2058

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამოქმედოებლო საზოგადოება („ЗАКТПО“)

ბალანსი

1925 წლის 1 აპრილისათვის

აქტივი			პასივი		
1. ნაღდი თანხები:			1. თანხები:		
სალარო	17.001—46		ძირითადი	163.748—06	
მიმდინარე ანგარიშები	115.874—56	132.876—02	საბრუნავი	394.800—14	
2. ფასიანი ქაღალდები		46.770—80	საპაიო	67.836—02	
3. ქონება			საამორტიზაციო	41.933—54	668.817—10
მოძრავი	204.543—07		2. გაცემული ვალდებულებანი:		
ცოცხალი ინვენტარი	8.686—00		სესხები მიღებული		
მოწყობილობა	5.538—89	218.767—96	„ სამეურნეო ორგანოებიდან	165.000	
4. საქონელი და მასალები:			„ სახელმწიფოსაგან	68.870	
საქონელი საწყობებში	165.817—04		„ პროფორგანოებიდან	20.515	254.385—00
„ გზაში	309.584—13		სპეციალური მიმდინარე ანგარიშები:		
„ მაღაზიებში და ვაგონების დუქნებში	1.037.967—86		თამასუქების	201.228—09	
„ განყოფილებებში	105.645—58		საქონლის	194.034—63	395.262—72
მასალები საწყობებში	10.745—67	1.629.260—28	გაცემული თამასუქები	680.828—28	1.330.470—[illegible]
5. წარმომადგენლობანი		103.631—43	3. სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი:		
6. წარმოებანი:		93.526—83	ბანკები	40.519—20	
7. ვალდებულებანი მიღებული, პორტფელში:		510—00	ტრანსპოსექცია	45.160—60	
8. სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი:			ტრანსპორტის პროფორგანიზაცია	338.703—00	
1. ბანკები	865—31		გზათა სახ. კომისარიატი და მისი ორგანოები	1.838—53	
2. ტრანსპოსექცია	130.986—29		კოოპერატიული ორგანიზაციები	10.897—82	
3. ტრანსპორტის პროფორგანიზაციები	3.763—45		სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები	122.219—06	
4. გზათა სახ. კომისარიატი და მისი ორგანოები	72.031—43		საზოგადოებრივი	6.465—28	
5. კოოპერატიული ორგანიზაციები	15.0 2—08		პროფორგანიზაციები	523—97	
6 სახელმწიფო „	98.866—09		სხვადასხვა	38.959—67	
7. საზოგადოებრივი „	1.146—48		საქვეანგარიშო პირები	39—68	
8. პროფორგანიზაციები	4.019—20		თანამშრომლები	3.905—21	609.232—[illegible]
9. სხვადასხვა	40.430—87		4. გარდამავალი თანხები:		11.742—[illegible]
10. კრედიტები	60.323—37		5. შემოსავალი:		
11. თანამშრომლები	9.732—82		გადასახადის დადება დარჩენილ საქონელზე ა.-წ. 1 აპრილისათვის		163.539—[illegible]
12. საქვეანგარიშო პირები	41.076—56	479.818—93			
9. გარდამავალი თანხები:		44.213—75			
10. ზარალი შედეგები:					
1924 წ. 1 ოქტომბრამდე	25.009—02				
24 წ. 1 ოქტომბრიდან 25. წ. 1 აპრილამდე	9.427—32	34.436—34			
ს ულ		2.783.807—36	ს ულ		2.783.807—[illegible]

ანგარიშები გალანსის გარეშე

თამასუქების მქონე უზრუნველსაყოფად გაცემულ თამასუქ. მან.	811.010	
უზრუნველსაყოფ. მიღებული თამასუქები დეპოზ. მ.	250.000	
„ „ „ პორტფელში მ.	27.500	
„ „ „ აღრიცხვაზე მ.	11.500	
„ „ „ საპროტესტ. მ.	8.052	1.108.062
ბალანსი		3.891.869—36

თამასუქების გამცემი უზრუნველსაყოფად მიღებულ თამას. მან.	297.052	
უზრუნველსაყოფად გაცემული თამასუქები მან.	811.010	1.108.062
ბალანსი		3.891.869—36

გაშგეობის თავმჯდომარე— **მ. აკიმოვი.**

გაშგეობის წევრნი: მ. პეტროსიან, ბუზიაშვილი, დ. ალიევი, ბ. დვარელიძე.

მთავარი ბუღალტერი—საიანოვი. ნ. 1527 1—[illegible]

დამტკიცებულია ამიერ-კავკ. ფინ. სახ. კომის. რ. ... სახელმწ. შეკრულ. საქმართველოს მერ —№ 67110/921.